პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და ზაკსაქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26, ტელეფონი 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 210 ოთხშაბათი, 26 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300,000 მან. № 210

Коллекция Ил. Федосеев Ерзаукова

დღიური

საყოველთაო გაფიცვა ბადენში მუშების გამარჯვებით დასრულდა.

ამერიკის გაზეთის ცნობით, გერმანიის მთავრობაში [illegible] ამზადა ოფიციალური განცხადება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

ბულგარეთში გრძელდება სისხლის მღვრელი შეტაკებანი მთავრობის მომხრეთა და აჯანყებულთა შორის.

მოელიან ბულგარეთის მთავრობის გადადგომას.

1883--1923

ორმოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრში, შვეიცარიაში, პირველ მარქსისტულ ორგანიზაციას, **„შრომის განთავისუფლების ჯგუფს“**, რომლის დამაარსებელნი იყვნენ: ვ. ზასულიჩი, პ. აქსელროდი, ლ. დეიჩი და ვ. იგნატოვი—გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვის მეთაურობით. ეს ორგანიზაცია შეიქნა გამოსავალი წერტილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმოშობისა და განვითარების, რომლის რევოლიუციონურ-მარქსისტული პრინციპების და ტრადიციების მატარებელი შეიქნა რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). რამდენადაც ეს ჯგუფი გამოხატავდა თავის ლიტერატურულ და პრაქტიკულ გამოსვლებში იდეოლოგიას რევოლიუციონური მუშათა კლასისას და იდგა მარქს-ენგელსის პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი ბრძოლის პროგრამის ნიადაგზე ამ სიტყვის სოციოლოგიურ-პოლიტიკურ და ტაქტიკურ გაგებით, იმდენათ ჩვენ დაკავშირებული ვართ მასთან ჩვენი წარსულით. და მართლაც დიდი იყო ის როლი, რომელიც შეასრულა „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“ რუსეთის და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობაში.

ახალ ჯგუფს მოუხდა მოღვაწეობის **(ლიტერატურული** მოღვაწეობის) დაწყება და გაგრძელება იმ დროს, როდესაც ძველი რეჟიმის საწინააღმდეგო მოძრაობას არ ჰქონდა მიღებული კიდევ გარკვეული სახე, როდესაც მის მოწინავე რაზმს შეადგენდა დამონებული გლეხობის თანამგრძნობი ინტელიგენცია. ქალაქის პროლეტარიატი იყო მცირერიცხოვანი და თვით მისი მასიური პოლიტიკური მოძრაობაც არ არსებობდა. მაშინდელი ,,ნაროდოვოლცების‘‘ ჯგუფები, რომლებიც გრძნობდენ არსებული წესწყობილების შემბორკველ და დამღუპველ ბრჭყალებს დიდი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული პროგრესისათვის, ადგენ გზას ინდივიდუალური გამოსვლებისას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არა მარტო იმიტომ, რომ მასიური რევოლიუციონური მაჯის ცემის სისუსტემ მათში შეიმუშავა ბუნებრივათ კულტი ერთპიროვნული გმირული პოლიტიკური აქტების, არამედ იმიტომაც, რომ მათ ვერ აუღეს ალღო თვით მაშინდელ ობიექტიურათ რევოლიუციონურ მდგომარეობას რუსეთისას, რის გამო მოწყვეტილი იყვნენ რეალურ ნიადაგს. ერთათ ერთი ძალა, თუ გინდ სუსტი რიცხვობრივათ, სადაც შეიძლებოდა საფუძველი ჩაყროდა რევოლიუციონური ბრძოლის სისტემატიურ ორგანიზაციას, რადგან ქალაქის მუშათა ოაზისები შეიძლება ყოფილიყვნენ ბუნებრივი მასალა ასეთი ორგანიზაციისა—ეს ძალა უცხო იყო მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციისათვის. ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ასეთ პირობებში, გასაკვირი არ არის, თუ ათეული წლობით უნდა ებოგინა იმ ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას, იმ სპეციფიურ ბრძოლის მეთოდებს ტერრორისტული ჯგუფებისას, რომლებთან ბრძოლაში, წინ წასული ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონური იდეოლოგიის, მარქსიზმის, დროშის ქვეშ, იზრდებოდა და მტკიცდებოდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ და შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატია. ამავე პირობების გამო პროლეტარიატის განთავისუფლების პროგრამა გადმონერგილი შეიქნა რუსეთის ნიადაგზე გარედან და ამაში მიუძღვის უდიდესი ისტორიული დამსახურება სოციალისტური რევოლიუციის წინაშე რუსეთის ემიგრანტების პატარა ჯგუფს (პლეხანოვის მეთაურობით), რომელიც წარმოადგენდა თავდაპირველათ ლიტერატორთა ორგანიზაციას.

დრომ განვლო. რუსეთის ცხოვრებაში პოლიტიკურათ მომწიფება დაიწყო იმ ძალამ, რომელსაც თავზე უნდა ედვა უმთავრესი სიმძიმე ძველ რეჟიმთან ბრძოლის და, როგორც მოწინავე ნაწილი მთელი ქვეყნის დამონებულთა მასისა, შექმნილიყო გეგემონი, ხელმძღვანელი ამ ბრძოლის. პეტერბურგში დაარსდა, მუშათა წრეებში დიდი ხნის სისტემატიური პროპაგანდის შემდეგ, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ამხ. ლენინის მეთაურობითა და განსვენებული მარტოვის აქტიური მონაწილეობით. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები უკავშირდებიან ჟენევის ემიგრანტ-მარქსისტების ჯგუფს და ამ დროს ეკუთვნის უმთავრესათ თეორიისა და პრაქტიკის ის შეუღლება, რომელმაც შემდეგ მოგვცა ძლიერი მუშათა სოციალისტური პარტია. აშკარა შეიქნა, რომ, გარეშე მუშათა კლასის მასიური ამოძრავებისა, ძველი რეჟიმის ციხე-სიმაგრეების დამხობა და გამარჯვება რევოლიუციისა შეუძლებელი იყო. დღეს ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ სიმძიმის ცენტრის გადატანა პროლეტარიატზე, როგორც რევოლიუციის ძლევამოსილების უმთავრეს ძალაზე, ნაროდნიკების იდეოლოგიურ ფრონტის გაპობა ამ ადგილას მოასწავებდა მაშინ მთელი ისტორიული ეპოქის, მისი სქელი ტრადიციული ნალექის და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ზედნაშენის დამსხვრევას. ამ აზრით, პლეხანოვის დიადი ისტორიული სიტყვები მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე, პარიზში, 1889 წელს, იმის შესახებ, რომ რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა რევოლიუცია, ან სულ ვერ გაიმარჯვებს—ეს სიტყვები იყო ახალი ისტორიული ზარის რეკვა. იყო მთელი პროგრამა სოციალისტური რევოლიუციის, რომლის ნიშან ქვეშ მიმდინარეობდა ბრძოლა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის, მაშინდელი კომუნისტების. ამ სიტყვებში რუდიმენტარულათ უკვე მოცემული იყო პროგრამა პროლეტარიატის დიქტატურის. მაგრამ, როდესაც პლეხანოვი და აქსელროდი დადგენ შემდეგ თავის კლასობრივი ინტერესებისათვის მდგარ პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლის წინაშე, როდესაც აისახა ამ დიქტატურის დასაწყისი და ბურჟუაზია და პროლეტარიატი ეკვეთა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, დიქტატურის დროშა დაბლა დახარეს ამ ჯგუფის მეთაურებმა და თვით ტალახში ამოსვარეს ის. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატს ჰყავდა თავისი ჭეშმარიტი მებაირაღტრე. ეს იყო კომუნისტური პარტია და მისი გენიალური ბელადი ამხ. ლენინი.

დიდია ამ მხრივ დანაშაულობა ამ ჯგუფის ძველი შემადგენლობისა და მათ შორის უმთავრესათ განსვენებული პლეხანოვისა და დღეს კიდევ ცოცხალი (ფიზიკურათ) პავლე ბორისის ძე აქსელროდის. პირველის წინააღმდეგ არა ერთხელ გვქონია ჩვენ ბრძოლა, მეორეს—აქსელროდსა და მის მიმდევრებს საკადრისს ვუზღავთ ხოლმე მათი კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის — და ამაში დღეს ჩვენთან არიან მენშევიზმის ძველათ მიმდევარი მუშები და გლეხებიც—მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვაქვს საკმაო ობიექტივობა და იდეიური სიფართოვე ვაღიაროთ დღეს, ამ ჯგუფის დაარსებიდან ორმოცი წლის თავზე, ის დიდი ისტორიული დამსახურება რუსეთის პროლეტარიატის წინაშე, რომელიც მიუძღვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფს“ და განსაკუთრებით მის მეთაურს, გ. ვ. პლეხანოვს.

„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“

„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ დაარსდა სწორედ ორმოცი წლის წინად 1883 წელს შვეიცარიაში, სადაც იმ დროს და შემდეგაც რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობამდე რუსეთის მრავალი რევოლიუციონერი აფარებდა თავს. ჯგუფის დამაარსებელნი იყვნენ: **გ. ვ. პლეხანოვი, ვ. ი. ზასულიჩი, პ. ბ. აქსელროდი, ლ. გ. დეიჩი და ვ. ნ. იგნატოვი**, რომლებიც ამ ჯგუფის დაარსებამდეც აქტიურ რევოლიუციონურ მუშაობას აწარმოებდენ რუსეთში, მაგრამ საკმაოდ გაცნობილი არ იყვნენ მუშათა კლასის იმ დიად რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კ. მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ევროპაში.

რუსეთში ამ დროს უკვე გაჩნდა სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც თავს იყრიდა ფაბრიკა-ქარხნებში და ჰქმნიდა ნიადაგს მუშათა მოძრაობის დასაწყისისათვის. ჯერ კიდევ 1875 წ. იყო ცდა „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირის“ დაარსებისა და 1878 წ. კი „ჩრდილოეთ-რუსეთის მუშათა კავშირისა“. ამის წინ კი რუსეთის რევოლიუციონერების მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მხოლოდ გლეხობისკენ და სათემო მიწადმფლობელობისკენ, რომლიდან უშუალოდ, კაპიტალისტურ ფაზის გაუვლელად სცდილობდენ სოციალიზმის სამეფოში შესვლას. მაგრამ კაპიტალიზმმა უკვე შემოჰყო თავი რუსეთის სინამდვილეში და წარმოშვა ნიადაგი მარქსის იდეების რუსეთში გადმოტანისათვის. მარქსის „კაპიტალის“ და სხვა ნაწარმოების მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა რუსეთში, რაც სჩანს თვით მარქსის წერილიდან ზორგესთან 5 ნოემბრიდან 1880 წ. იმ დროინდელ რევოლიუციონურ ჯგუფებში მარქსის გავლენას ყველაზე მეტად განიცდიდა ჯგუფი **„Черный передел“**, რომლის აქტიურ წევრებად ითვლებოდენ გიორგი ვალენტინისძე პლეხანოვი, ვერა ზასულიჩი და ლევ დეიჩი.

პლეხანოვი ცნობილი გახდა თავისი სიტყვით პეტროგრადის მუშათა და სტუდენტთა დემონსტრაციაზე 1876 წ. 6 დეკემბერს; მალე ის **„Земля и воля“**-ს რედაქციაში იწყებს მუშაობას, როგორც ერთი რედაქტორთაგანი და იმავე დროს მხურვალე რევოლიუციონურ მუშაობას აწარმოებს პეტროგრადის მუშებში. ისვე გახდა ერთი დამაარსებელთაგანი და ხელმძღვანელი **„Черный передел“**-ის ჯგუფისა. ამ ჯგუფის ორგანოში გამოქვეყნებულ წერილებში პლეხანოვს უკვე ეტყობა მარქსის მეცნიერული სოციალიზმის გავლენა, მაგრამ მხოლოდ თავის შვეიცარიაში გადასახლების შემდეგ ხდება თანდათანობით უფრო გარკვეული მარქსისტი. გლეხობის ნაცვლად მას ყურადღების მთავარი ცენტრი პროლეტარიატისკენ გადმოაქვს. 1881 წლის 1 მარტს **„Народная Воля“**-ს პარტიამ შესძლო ალექსანდრე მეორეს მოკვლა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლიუციონურ წრეებში და გამოიწვია პლეხანოვის ამხანაგებში **„Народная Воля“**-ს პარტიაში შესვლის სურვილი. პლეხანოვი ამ დროს უკვე მარქსისკენ იყო გადახრილი და ხალისს არ იჩენდა **„Народная Воля“**-ს პარტიაში შესვლისათვის. ამ პარტიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ის, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ზასულიჩთან, აქსელროდთან, დეიჩთან და იგნატოვთან ერთად აარსებს „შრომის განთავისუფლების ჯგუფს“, რომელიც თავიდან ლიტერატურულ ხასიათს ატარებდა. ამ ჯგუფის დაარსების დღეთ ითვლება 1883 წლის 25 სექტემბერი, როდესაც გამოქვეყნდა ამ ჯგუფის განცხადება „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ გამოსვლის შესახებ.

ახალი გამომცემლობა მიზნათ ისახავდა



ვ. ზასულიჩი. გ. პლეხანოვი. ლ. დეიჩი. პ. აქსელროდი.

მეცნიერულ სოციალიზმის იდეების გავრცელებას რუსეთში მარქსის და ენგელსის თხზულებათა გადმოთარგმნით და ორიგინალურ ნაწარმოებთა გამოშვებით.

მეორე მხრივ გამომცემლობა მიზნათ ისახავდა რუსეთის რევოლიუციონერთა შორის გავრცელებულ მსოფლმხედველობის კრიტიკას და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების დამუშავებას მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით. ამ გამომცემლობამ იარსება 1883 წლიდან 1888 წლამდე და პირველად 1883 წელში გამოუშვა პლეხანოვის წიგნი „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“.

1884 წ. შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“ გამოუშვა პირველი სოც.-დემ. პროგრამა, რომელიც შეიცავდა პროგრამა—მაქსიმუმს და პროგრამა-მინიმუმს; საერთოდ ის პროგრამა შეთანხმებულია მარქსიზმის პრინციპებთან, თუმცა ნაროდნიკობის ნაშთები აქა-იქ კიდევ მოსჩანს შიგ.

1888 წ. „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“ ჩაუყარა საფუძველი „რუსულ სოციალ-დემოკრატიულ კავშირს“ და 1895 წელს ამავე ჯგუფის ინიციატივით დაარსდა „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირი“, რომელიც უმთავრესად ინტელიგენტური შემადგენლობის იყო და ამით აიხსნება მისი „ეკონომიზმის“ მომხრეობა და მემარჯვენეობა. 1898 წელში მოხდა პირველი ყრილობა „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის“, მაგრამ „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“ მაინც განაგრძო არსებობა 1903 წლამდე, როდესაც პარტიის მეორე ყრილობის დადგენილების თანახმად მოხდა ჯგუფის თვითლიკვიდაცია.

„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ არსებობდა რუსეთის გარედ შვეიცარიაში. თვით რუსეთშიც სწარმოებდა ამ დროს მარქსისტული ძალების ორგანიზაცია. 1883 წ. პეტროგრადში დაარსდა „რუს. სოც.-დემოკრატთა პარტია“, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად სტუდენტობა შედიოდა. 1885 წელში ამ პარტიამ გამოუშვა გაზეთი „მუშა“ და 1884 წელში გამოიმუშავა პროგრამა, რომელშიაც ბოლომდე ვერ იყო დაცული მეცნიერული სოციალიზმის დებულებები, პროგრამა მაქსიმუმი და მინიმუმიც ვერ იყვნენ საკმაოდ განსაზღვრული. ამ პარტიის ორგანო „მუშა“-ში პლეხანოვმა და მისმა ამხანაგებმაც დაიწყეს თანამშრომლობა. მეფის პოლიცია დაუნდობლად სდევნიდა ამ პარტიას და 1887 წლისთვის მის წევრთა უმრავლესობა დატუსაღებულ-გადასახლებული იყო და მოკლებული რევოლიუციონური მუშაობის საშუალებას; მაგრამ პარტიის წინანდელ მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და მთელ რიგ ქალაქებში წარმოიშვა სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები; როგორც, მაგალითად ვილნოში, მინსკში, კიევში, როსტოვში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში. მარქსისტული იდეების გავრცელება რუსეთში ამ დროს ჩქარი ტემპით სწარმოებს და 1891 წლის ცნობილ სიმშილობის დროს, რომელმაც გამოიწვია მრეწველობის დროებითი დაცემა, იწყება მუშათა გაფიცვები. 1891 წელს პეტროგრადის მუშები და სტუდენტობა მწერალ შელგუნოვის დასაფლავების დროს აწყობს საპროტესტო დემონსტრაციას. იმავე 1891 წელში პეტროგრადში პირველად იდღესასწაულეს პირველი მაისობა. ნაროდნიკები უკვე კარგავენ თავის პოზიციებს, მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ მიმდინარეობს.

1893 წელში, სიმშილობის გავლის შემდეგ იწყება მრეწველობის აღორძინება და ძლიერდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები. ამავე დროს იწყება ლეგალური, თეორიული ბრძოლა ნაროდნიკების წინააღმდეგ, რომელშიაც მთავარ მონაწილეობას იღებენ გ. პლეხანოვი და პ. სტრუვე. ამ უკანასკნელს მალე აღმოაჩნდა რევიზიონისტური მიდრეკილება, მაგრამ პლეხანოვის მეთაურობით ნაროდნიკებთან ბრძოლა მაინც მოგებულ იქნა.

1894 წელს პეტროგრადში პარტია, რომელიც უკვე ფართო მასშტაბით აწარმოებს მუშაობას, წრეების ნაცვლად ახერხებს საერთო საქალაქო ორგანიზაციის მოწყობას. პეტროგრადში ამ დროს არსებობს აქტიური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ლენინის მეთაურობით, რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ მიემგზავრება შვეიცარიაში „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან“ კავშირის დაჭერის მიზნით. პარტია უკვე მტკიცე საფუძველზე სდგას ამ დროს და უშუალო მონაწილეობას იღებს მუშების როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ გამოსვლებში. 1895 წლის დეკემბერს პეტროგრადის ორგანიზაციის თითქმის მთელი შემადგენლობა დატუსაღებულ იქნა, მათ შორის ამხ. ლენინიც.

არსდება ახალი ორგანიზაცია „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. ამ ჯგუფს უერთდება ჩერნიშევის და ტრახტარიოვის ჯგუფი.

1896 წელში პეტროგრადში იწყება მუშათა გაფიცვები, უმთავრესად საფეიქრო მრეწველობაში. ამ გაფიცვას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 30,000 მეტი მუშა, ხელმძღვანელობდა ზემოთხსენებული კავშირი და ამხ. ლენინი ციხეში იღებდა პროკლამაციებს და მოწოდებებს მუშებისადმი.

მოსკოვშიც უკვე მომაგრებული იყვნენ ამ დროს სოციალ-დემოკრატიული წრეები. აქ სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია დაარსდა 1894 წ. და მალე იქ ცენტრალურმა მუშათა კავშირმა დაიწყო მოქმედება. პოლიცია აქაც ფეხზე იდგა და ხშირად ატუსაღებდა მოსკოვში მომუშავე ამხანაგებს.

1896 წ. „ცენტრალური მუშათა კავშირის“ ნაცვლად არსდება „მოსკოვის მუშათა კავშირი“, რომელიც აერთიანებდა 1000-დე მუშას. პოლიცია გააფთრებულ დევნას აწარმოებდა, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა სოციალ დემოკრატიულ წრეებთან და მალე მოსკოვში თითქმის შეუძლებელი გახდა პარტიული მუშაობის წარმოება.

მოძრაობა გაჩაღებულია სხვა ქალაქებშიც: კიევში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ეკატერინოსლავში, ნიკოლაევში, სადაც არსებობდა „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი“ და სხვაგან. 1897 წ. ხდება გაერთიანება ებრაელურ სოციალ-დემოკრატიულ წრეებისა „ბუნდში“.

1897 წლის მარტში შესდგა პარტიული კონფერენცია; 1898 წლის მარტში კი მინსკში შესდგა პარტიის პირველი ყრილობა, რომლისთვის მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდა კონფერენციის მიერ არჩეული ორგანო „მუშათა გაზეთი“.

ასეთი იყო „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ ორგანიზაციის დასაწყისი და განვითარება. მან ითამაშა დიდი ისტორიული როლი ძველი მეფის რუსეთის დამხობაში და სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებაში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია—კაპიტალიზმის დარაჯი

> ჰეგელმა სადღაც შენიშნა, რომ ყველა დიდი პიროვნებები და მსოფლიო ისტორიის ფაქტები მეორდებიან, ასე ვსთქვათ, ორჯერ—მას დაავიწყდა დაემატებია: პირველად—როგორც ტრაგედია, მეორეთ—როგორც ფარსი.
>
> **კარლ მარქსი. „18 ბრიუმერა“.**

და მართლაც ის, რაც დღეს გერმანიაში ხდება, ჩვენ ერთხელ უკვე განვიცადეთ ცოტა სხვანაირი ვარიაციებით და სხვა პიროვნებებით; სხვა ტანისამოსში, მაგრამ იმავე მიზნით, იმავე აკვიატებული იდეით: დაეცვათ კაპიტალიზმი დაღუპვისაგან, გადაერჩინათ, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ.

ჯერ კიდევ **სამხედრო** აჯანყების დროიდან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მინდობილი ჰქონდათ გატარებიათ „შინაური მშვიდობიანობის“ პოლიტიკა. ბურჟუაზიულ პარტიებთან ბრძოლა შეწყვეტილი იქნა, ბურჟუაზიასთან ხვეი ჩამოვარდა და იმ ეკონომიურმა სისტემამ, რომელსაც ომის დროს საშინელი შედეგები მოსდევდა, მიიღო შესაძლებლობა ფართოთ გაშლილიყო პროლეტარიატის ხარჯზე და სრულებით არ აწინებდა მას იმ პირთა კრიტიკა, რომელნიც ოდესღაც მუშათა კლასს კაპიტალის „მოსისხლე მტრად“ აცხადებდენ. იმ შემთხვევებში კი, როდესაც კრიტიკამ მაინც იჩინა თავი, როდესაც შეეცადენ განთავისუფლებიათ მუშათა კლასი „სამოქალაქო ომის“ საშიშ იდეოლოგიისაგან და „ობორონჩესტვოსაგან“, — სოციალ-დემოკრატიის თანხმობით, ან და დაუდევრობით, საქმეში ცენზურა ჩაერია და ისეთნაირად ჩაერია, რომ არა სასურველ მოწინააღმდეგეებს პირში ბურთს სჩრიდა.

რა იყო გასაკვირველი, როდესაც 1918 წელს, ნოემბრის დღეებში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა იგრძნეს საჭიროება განეგრძოთ „სამოქალაქო ზავის“ პოლიტიკა, რომელსაც ისინი ომის დროს აცხადებდენ. და მართლაც, თუ ჩაუკვირდებით იმას, რაც მოხდა 1918 წ. 9 ნოემბრის შემდეგ, დავინახავთ იმავე პოლიტიკის გატარებას, რომელსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია ომამდე აწარმოებდა.

განა საჭიროა იმ გოლგოთას აღწერა, რომელიც **იუდა-ნოსკემ და პილატე-შეიდემანმა** განუმზადეს რევოლაუციონურ პროლეტარიატს 1918 წ. ზამთრიდან მოყოლებული 1919 წ. მარტამდე? მრავალი ათასი თავდადებული რევოლიუციონერი მებრძოლი შეეწირა ბოლშევიზმის წინააღმდეგ დაწყებულ სისხლისმღვრელ დევნას. შეიძლებოდა მთელი სტატისტიკა შეგვედგინა იმ საშინელებათა და ძალადობათა, რომელიც არ ახსოვს რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიას.

ვერაგულად იქნენ მოკლული **როზა ლუქსემბურგი, ლიბკნეხტი, იოგიხესი** და სხვები, რომელნიც იბრძოდენ პროლეტარიატის გასამარჯვებლად ბურჟუაზიაზე იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატიულ პრესის არამზადები ცინიკურად ზეიმობდენ ამ საზიზღარ ბოროტმოქმედების გამო. პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ პროლეტარულ რევოლიუციის გატარების პირველი ცდა გერმანიაში პროლეტარიატის სისხლის მორევში იქნა ჩახრჩობილი,—ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიას. ტყუილად კი არ იყვნენ აღსავსენი მემარჯვენე გაზეთები ქება-დიდებით სოციალ-დემოკრატიის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა „კაპიტალიზმის მოთხოვნილებათა საოცარი გაგების უნარი“.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ „რევოლიუციონურ სტრატეგიის“ თვალსაჩინო წარმატებანი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მისი ხასიათის შესახებ. რევოლიუციონურ პროლეტარიატის, თვით რევოლიუციის ხარჯზე დაღუპვისაგან გადაარჩინა მაშინ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ კაპიტალიზმი.

და აქვე შეიძლება გავატაროთ პარალელი 1918 წლის და 1923 წ. ფაქტებს შორის. ვირტის კოალიციონური მთავრობა, რომელმაც რატენაუს მოკვლის გამო იგრძნო და შეიგნო, რომ მტერი მარჯვნიდან მოდიოდა „იძულებული“ გახდა ეგემა თავის[illegible] მხედრობის ნაყოფი. ვირტი გან[illegible]ი იქნა“, ხოლო მისი ერთ[illegible] სოციალ-დემოკრატია გადგა [illegible] და დაუთმო მინისტრების სა[illegible]ები კუნოს წმინდა ბურჟუა[illegible]-კაპიტალისტურ კაბინეტს, რომელიც გერმანიის პოლიტიკის მთავარ სარეპარაციო პრობლემის საკითხში დაადგა ვირტის გაუქმებულ კაბინეტის გზას. უნდა გატარებულიყო და კიდეც ტარდებოდა იგივე პოლიტიკა, რაც მანამდე ბ-ნი კუნო არა მარტო სარგებლობდა ნდობით ბურჟუაზიულ შრომის კავშირების ე. ი. იმ პარტიისა, რომლიდანაც შედგენილი იქნა ახალი კაბინეტი, არამედ ჯერ კიდევ თავის დაცემის წინ ის სარგებლობდა მაშინ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სრული ნდობით. ის ფაქტი, რომ ამ პარტიის წინამძღოლთა შორის აღმოჩნდენ მოწინააღმდეგენიც, რომელთა პროლეტარული გრძნობები უკარნახებდა მათ მხარი არ დაეჭირათ კუნოს კაბინეტისათვის, არ სცვლის იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ ა. წ. 9 აგვისტოს სოც.-დემოკრატია მზად იყო მხარი დაეჭირა კუნოს კაბინეტისათვის მიუხედავად იმისა, რომ პარტიის მორიგი წევრები კატეგორიულად მოითხოვდენ კუნოს გადადგომას.

ვიმეორებ: **კუნოს პოლიტიკის საფუძველი იყო სარეპარაციო საკითხში ნოტა, რომელიც გაუგზავნა საფრანგეთს ვირტის ბურჟუაზიულმა, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ.** ამ პოლიტიკის გატარებას უმაღლეს წერტილამდე უნდა მიეყვანა წინანდელ კაბინეტის შინაური პოლიტიკით შექმნილი გართულება. ამას დაემატა კიდევ ახალი გართულება, რურის ოკუპაცია და მით შექმნილი საერთაშორისო კონიუნქტურის და გერმანიის ფართო მასებისათვის კონტრიბუციის გამოტყუების ახალი ფაზა. თუ ნორმალური საკონტრიბუციო სიმძიმე ღარიბ ხალხის მხრებზე იყო გადატანილი,—ცხადი იყო, რომ რურის ოკუპაცია მთელი მისი შედეგებით გადატანილი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის მხრებზე. კაპიტალისტებს კი რეიხსბანკმა გაუხსნა ე. წ. „რურის კრედიტი“, რომლის შემწეობითაც იმათ კიდევ უფრო უსინდისოთ დაიწყეს სპეკულიაცია დევიზით,—„ხელსაყრელი წარმოება!“ მარკის კურსი დაეცა იმდენად, რომ მანამდე ეს დაუჯერებლად ითვლებოდა,—ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ფასების საშინელ ზრდას პირველ მოთხოვნილების საგნებზე. მოლაპარაკება ხელფასის შესახებ დიდის გაჭირვებით სწარმოებდა, და ბოლოს, როდესაც ეს მოლაპარაკება დამთავრდა, მწარმოებლებმა ვეღარ შესძლეს ხელფასის გადახდა, რადგან რეიხსბანკი უმწეო აღმოჩნდა დაეკმაყოფილებია ქაღალდის მარკის გაზრდილი მოთხოვნილება. და როდესაც მუშებმა მიიღეს ხელფასი ქაღალდის მარკებით, აგრარიების და ბითუმად მოვაჭრეების საბოტაჟის გამო, რომელნიც სისტემატიურად უცხადებენ ბოიკოტს ქაღალდის მარკას—მათ ვეღარ მოახერხეს საჭირო პროდუქტების ყიდვა. აქ კიდევ რეაქცია, რომელსაც აძლიერებდენ და ამაგრებდენ რევოლიუციის შემდეგი შედგენილი მთავრობები, უსირცხვილოთ ამჟღავნებდა თავის ნამდვილ ზრახვებს. „ციხიდან“ გერმანიის კონტრრევოლიუციის მომწყობის ერჰარდტის ნებით თუ უნებლიეთ განთავისუფლება საკმარისი იყო იმისათვის, რათა მუშათა კლასის ყურადღება მიპყრობილი ყოფილიყო სიტუაციის მთელ საშიშროებისაკენ.

შინაური პოლიტიკის სულთამხუთავი ატმოსფერას ყოველ წუთს შეეძლო დამძიმება. მუშათა კლასი საშინელმა მღელვარებამ მოიცვა. და, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელია, როგორც ტერმომეტრი აღნიშნავდა თვით მასებში დაწყებულ მოძრაობის სულისკვეთებას ის ფაქტი, რომ კომუნისტებზე უფრო ხმა მაღლა **სოციალ-დემოკრატი მუშები მოუწოდებდენ მასებს კუნოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.** მთელი მუშათა კლასი მთლიანად და გაპროლეტარებულ ბურჟუაზიის ფართო წრეები ვერ ხედავდენ სხვა გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან, თუ არა **რეიხსტაგის** დათხოვნას მუშურ-გლეხური მთავრობის შედგენის მიზნით.

რეიხსტაგის საგანგებო სხდომის მოწვევამაც კი ვერ შეანელა აღშფოთება მასებში. პირიქით, ასეთ მდგომარეობაში კუნოს დაუშვებელმა სიტყვამ, რომელიც პროვოკაციის ქსელში აბვევდა მუშათა კლასს და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის გაუბედავმა მოქმედებამ, რომელიც ერთხელ კიდევ შეეცადა მხარი დაეჭირა კუნოსათვის, მაგრამ მასების ძლიერი შემოტევის ზეგავლენით დაიწყო „დიდი კოალიციის“ საკითხის განხილვა,—იქამდე მიიყვანა მღელვარება, რომ ბურჟუაზიული გაზეთებიც კი ხედავდენ ანალოგიას გერმანიის მაშინდელ მდგომარეობის და 1918 წ. ნოემბრის დღეების შორის. ყველა კუთხიდან მუშათა დეპუტაციებს ყოველდღე იერიშები მიჰქონდათ რეიხსტაგზე, ისინი აღგენდენ თავიანთ მოთხოვნილებებს, სანამ სოციალ-დემოკრატმა, რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ არ აუკრძალა მათ რეიხსტაგში შესვლა. ბერლინში დაწყებული საყოველთაო გაფიცვა მოედო გერმანიის ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ყველაფერი ამტკიცებდა იმას, რომ გერმანია იმყოფებოდა დიდ რევოლიუციონურ ამბების წინაშე.

და აი, **სოციალ-დემოკრატიამ ხელახლა მოიგონა თავისი ისტორიული მისია!** ხელახლა უკანასკნელ მომენტში გაუწია სამსახური კედელზე მიჭყლეტილ კაპიტალიზმს; ხელახლა იკისრა მისი დამცველის როლის შესრულება, დასდო რა მასთან, გერმანიის მძიმე ინდუსტრიის საპარლამენტო წარმომადგენლებთან ხელშეკრულება, რომლის წინააღმდეგ, როგორც სამარცხვინო ფაქტის წინააღმდეგ, ილაშქრებდენ საკუთარი პარტიული ამხანაგებიც კი. თუმც ეხლა აღარ არის ვინმე ნოსკე, რომელიც ეწეოდეს თავის ბნელ ხელობას—მაინც იმ საშუალებებს, რომლითაც სარგებლობს მძიმე ინდუსტრიის და სოციალ-დემოკრატიის მთავრობა გაფიცულ მუშათა კლასის წინააღმდეგ,—აქვთ არა ნაკლები მკაცრი ხასიათი: ზევერინგი, პრუსიის სოც.-დემ. შინაგან საქმეთა მინისტრი, ზლის ფაბრიკა-ქარხნების ცეკას, კრძალავს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესს; ზოლმანი ახლად გამომცხვარი სოციალ-დემოკრატიული საიმპერიო შინ. საქ. მინისტრი სარგებლობს მუშათა წინააღმდეგ მიმართულ კანონით, რომელიც გამოსცა სოციალ-დემოკრატმა, გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა,—რათა დახუროს „როტე ფანე“ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო და ყველა მისი მთავარი გაზეთები და დიდი ხნით აკრძალოს მათი გამოცემა. და ყველანი ერთად, ყველა ეს სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მოახერხეს რევოლიუციის შემდეგ დაბალ და მაღლა პოსტებზე ასვლა, რეაქციასთან ხელიხელ ჩაკიდებული აღრმავებენ შუღლს კომუნისტების წინააღმდეგ! გერმანიის კაპიტალისტები ვეღარ ისურვებენ რევოლიუციის უკეთეს ჯალათებს

თავის შესავალ სიტყვაში, რომელიც შტრეზემანმა რეიხსტაგში წარმოსთქვა მთავრობის გამოსვლის დროს, მან უწოდა დიდი კოალიციის მთავრობას „ბურჟუაზიის უკანასკნელი რეზერვი“. შტრეზემანს, მაშასადამე, ნათლად აქვს გათვალისწინებული ის ამოცანები, რომლის შესრულებას მოითხოვენ მისი მთავრობისაგან კაპიტალისტები. ნათლად აქვთ წარმოდგენილი ეს მთავრობის წევრებსაც—სოციალისტებს— დემოკრატებს, ყველა ამ ვაჟბატონებს— ზოლმანს (შინ. საქმ. მინისტრი), გოლფერდინგს (ფინანსთა მინისტრი), შმიდტს (აღდგენის მინისტრი) და რადბრუხს (იუსტ. მინისტ.), ყველა მათი ღონისძიებანი და განსაკუთრებით ზოლმანის და ზევერინგის ამხედრება რევოლიუციონურ პროლეტარიატის პრესის და აღმასრულებელ ორგანოების წინააღმდეგ, აშკარად ამტკიცებენ ამას. შესაძლებელია დადგეს კიდევ უფრო ველური, სისხლისმღვრელი ტერორის პერიოდი, რათა მათ მიაღწიონ იმ მიზანს, რომელიც შეუცვლელი დარჩა რევოლიუციონურ აჯანყების პირველი დღიდან. მაგრამ თავის ბრმა მისწრაფებაში დაუჩქარებიათ რა კაპიტალიზმისათვის დახმარების გაწევა, იმათ ვერ გაითვალისწინეს მხოლოდ ერთი რამ: 1923 წელი უკვე აღარ არის 1918 წ. იმ დროს, როდესაც 1918 წ. პროლეტარიატი იყო დაქსაქსული, დღეს ყველა რევოლიუციის შემდეგ შედგენილ მთავრობების პოლიტიკის წყალობით, იგი ირაზმება ყველა ჩაგრულთა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

დიდი უფსკრული აშორებს დღეს ბელადებს მასებისაგან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და პროფკავშირებში. ამასთან ერთად მუშათა მასებში თანდათან ქრება ნდობა თავიანთ სოციალ-დემოკრატიულ წინამძღოლებისადმი, ხოლო გერმანიის კომუნისტური პარტია აძლიერებს თავის გავლენას მასებზე. 1918 წელში ერთი მუჭა გამბედავ რევოლიუციონერთა დღეს გახდა გერმანიის კომპარტიად, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს გერმანიის პროლეტარიატს; ხვალ იგი გახდება პროლეტარიატის ერთად-ერთ პარტიად.

ამგვარად, დღეს დიდი კოალიციის წინაშე გაჩნდა ახალი მომქმედი ფაქტორი, რომელიც ევლება მთელ პროლეტარიატს და წინასწარ უმზადებს დამარცხებას სოციალ-დემოკრატიის ახალ ცდას გადაარჩინოს კაპიტალიზმი. თვით უსასტიკესი ღონისძიებითაც ვერას გახდება იგი.

გ. ბირკი.

Коллекция Ил. Федосеев Ерзаукова

პრესა

„ვ ი ს თ ა ნ?“

„საქართველო სდგას კოლონიათ გადაქცევის გზაზე“—ეს აზრი არა ერთხელ გამოუთქვამთ სულის ჩამდგმელებს იმ ორგანიზაციისას („სამხედრო ცენტრის“), რომელიც მიზნათ ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებას. ასეთი ლათაიებით სურდათ მათ გაემართლებიათ ეგრედ წოდებული აჯანყებები, ამითვე ამართლებდნენ ყოველგვარ ბანდიტურ გამოსვლებს. ამ აზრს „კოლონიის“ შესახებ იმეორებს დღესაც იაქეთ დარჩენილი მენშევიკების „ცეკა“.

ჩვენ არა ერთხელ შევხებივართ ამ საკითხს და გამოგვიაშკარავებია, თუ რა მუცლის გვრემა სჭირდათ და სჭირთ ჩვენებურ კონტრ-რევოლიუციონერებს.

ამავე საკითხს ეხება **„სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ყოველკვირეული ორგანო „მოამბე“-ში (№ 2) ამხ. ვ. ბ.**

კითხვაზე იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაკავშირებოდა საქართველო, ავტორი სწერს:

„არავისთვის არ არის სადაო ის, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა გეოგრაფიულად ფრიად უკუღმართ პირობებშია ჩაყენებული. ის ერთი მხრივ ინდოეთ-სპარსეთსა და ევროპის შორის ხიდს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მოსაზღვრეა ისეთი მდიდარი მსოფლიო მნიშვნელობის პუნქტისა, როგორიც არის ბაქო.

ვის ხელშიაც იქნება ეს ხიდი—გზა აღმოსავლეთის მდიდარ ბაზრებისაკენ, ის იქნება მთელი აღმოსავლეთის ბატონპატრონი და მის განკარგულებაში იქნება აგრეთვე „შავი სისხლის“ დაუშრეტელი წყაროები.

გარდა ამისა საქართველოს უამრავი ბუნებრივი სიმდიდრენი, ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელი, ისეთი გემრიელი ლუკმაა, რომ იშვიათად არ ეცდება, ვინც უნდა იყოს ამ ქვეყნის ძლიერთა შორის, რომ მოხერხებულ დროს ეს ლუკმა ხელში არ ჩაიგდოს.

შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში პატარა 2 მილიონიანი ერი ამა თუ იმ სახელმწიფოს გავლენას გაექცეს? კაპიტალიზმის გაუმაძღარი მტაცებლობის ხანაში შესაძლებელია თუ არა თავის ანაბარა მიტოვებულმა პატარა ერმა აწარმოოს მშვიდობიანი პოლიტიკა, დაიცვას სრულიად სუვერენობა და ნეიტრალობა?

დაამტკიცოს ვინმემ, რომ ეს შესაძლებელია და მაშინ ჩვენ წინდაწინვე ვიღებთ ყველაფერზე ხელს.

და თუ ეს შეუძლებელია, თუ პატარა ერი თავის ანაბარა მიტოვებული ვერ იარსებებს—იბადება კითხვა: ვისთან უნდა იქნეს, სახელმწიფოთა რომელ კავშირს უნდა მიეკედლოს ჩვენი პატარა ერი, თუნდაც თავის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად?

ჩვენ მრავალ მაგალითების მოყვანა შეგვიძლია იმის დასამტკიცებლათ, რომ საქართველოს ხშირად უხდებოდა ამა თუ იმ ძლიერ სახელმწიფოსადმი მიმართვა მფარველობისთვის, რათა თავი დაეღწია განადგურებისათვის...

შესძლო თუ არა საქართველომ თავდაცვა საკუთარი სუსტი ძალებით?

მაგრამ ამას რაღა მტკიცება უნდა! საზღვარგარეთ გადახვეწილმა ემიგრანტებმაც კი შეიგნეს, რომ არა თუ საქართვე

ლის, საერთოდ ამიერ-კავკასიის ყველა ერებისათვის დამღუპველია ცალკ-ცალკე არსებობა—ის მხოლოდ შუღლსა და მტრობას სთესავს ძმათა შორის. ამ შეგნებამ გამოიწვია გადახვეწილ მთავრობათა მიერ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა. მათ ამ კავშირის ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფრთის ქვეშ შეყუდრება გადასწყვიტეს.

დიაღ, უდავოა ის, რომ საქართველოს არ ძალუძს მარტო საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი თავდაცვა. მას მოკავშირე უნდა, მოკავშირე ძლიერი, რომელიც გაჭირვებაში შესძლებს გამოექომაგოს მას—გულწრფელად, ყოველივე ანგარიშებისა და პირადი სარგებლობის გარეშე".

მაგრამ რომელია დღეს ასეთი მოკავშირე, რომელიც გულწრფელ ძმურ დახმარებას გაუწევს პატარა ქვეყანას, რომელიც თავის მხრივ ითანამშრომლებს ამ მოკავშირესთან საერთო ჭაპანის გასაწევათ მიმდინარე და მომავალ დიდი ბრძოლების პროცესში?

„დღეს მსოფლიოში მხოლოდ ორი ძალაა.

საქართველოს წინაშე მხოლოდ ორი ძალა აღმოჩნდა საკმაოთ ძლიერი, მაგრამ დიამეტრალურად წინააღმდეგი თვისებებისა.

ერთი მხრივ საბჭოთა რუსეთი, მშრომელთა წითელი რესპუბლიკა. ნამგლისა და ჩაქუჩის, შრომის ქვეყანა.

მეორე მხრივ შავი რეაქციის ბუდე, დასავლეთი ევროპა დრომოჭმული კაპიტალისტური წესწყობილებით.

ისტორიამ მათში ერთ-ერთის არჩევა დაგვაკისრა, ერთ-ერთთან დაკავშირება.

რომელი მეტად უზრუნველჰყოფდა ამ ძალებში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს"?

იხილავს რა იმ უბედურებას, რომელსაც მოუმზადებდა საქართველოს დაკავშირება რეაქციონურ ქვეყნებთან, მოჰყავს რა ამ ქვეყნების მიერ პატარა ერების დამონების მაგალითები, ავტორი დაასკვნის:

„დიაღ, დღევანდელ ევროპასთან კავშირი საქართველოს საშინელ საფრთხეში ჩააგდებდა. ის ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოს მონა შეიქმნებოდა. და ამ გზას საქართველოს მშრომელი მასსა ვერ აირჩევდა.

ერთად-ერთი ძალა, რომელთანაც ჩვენ (საქართველოს) ძმური—თანასწორი კავშირის დამყარება შეგვიძლიან,—რუსეთი არის. რუსეთის მუშათა კლასთან გვაკავშირებს ჩვენ ათეულ წლების ტიტანიური ბრძოლის ისტორია. რუსეთის კულტურასთან—ცივილიზაციასთან არის შესისხლხორცებული ჩვენი კულტურა და ცივილიზაცია. ნოე ჟორდანიას თქმით,—ევროპის ცივილიზაციის შუქმა ჩვენში რუსეთის საშვალებით შემოანათა. რუსეთთან გვაკავშირებს ჩვენ ასი წლის განმავლობაში შექმნილი ეკონომიური ურთიერთობა. რუსეთთან გვაკავშირებს დღეს, თუ გნებავთ, პოლიტიკური სახეც, სახელმწიფოებრივი წესწყობილება".

როდესაც ჩვენ წინაშე ისმება კითხვა საით: წითელი რუსეთისაკენ თუ შავი ევროპისაკენ, ჩვენ თამამათ და გაბედულად ვიტყვით:—„ჩვენ წითელი რუსეთი გვირჩევნია".

ეს ასეც მოხდა. თებერვლის (1921 წ.) გადატრიალების შემდეგ, მენშევიკური „დემოკრატიის" დამარცხების შემდეგ, საქართველოს მშრომელი ხალხი განუყრელათ დაუკავშირდა რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს და საბჭოთა რესპუბლიკებს, საერთო ძალით ბრძოლისთვის და გამარჯვებისათვის.

რა მოუტანა ამ კავშირმა საქართველოს? ამხ. ვ. ბ. ასე ათავებს:

„დღეს საბჭოთა საქართველო სრულუფლებიანი წევრია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირისა—და არა რუსეთის კოლონია. დღეს საქართველოში სრულიად დაცულია ქართული ენა, როგორც სახელმწიფო სავალდებულო ენა.

დღეს ქართულ სკოლებში, ქართულად სწავლობს ქართველი გლეხის და მუშის შვილი. კიდევ მეტი,—საქართველოს ყველა სკოლებში ქართული ენა სავალდებულო საგანია.

დღეს ქართველ მშრომელ მასას უზრუნველყოფილი აქვს საკუთარი კულტურისა და ცივილიზაციის გზით სვლა.

უკანასკნელი ცნობებით, საქართველოში დაიწყებს მუშაობას სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია.

რომელ კოლონიაში ან და საოკუპაციო ტერიტორის ფარგლებში მუშაობდა ოდესმე სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო—პარლამენტი?

არა, საქართველო დღეს კოლონიათ გადაქცევის საფრთხედან უზრუნველყოფილია.

მისი დამოუკიდებლობა მშრომელ ხალხის მაგარ ხელშია".

ყოველივე თქმული სრული ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტ აზრს იზიარებს ჩვენთან ერთად დღეს ის 12,000 ამხანაგი მუშა და გლეხი, რომლებმაც ჩაჰქოლეს მენშევიკების ეგრედ წოდებული „ცეკა".

სატრანზიტო ტარიფი.

რიგა. 21 სექტემბერი. სექტემბრის 19-ს რიგაში ჩამოვიდა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არალოვი, რომელმაც ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალბოტი, ალბოტმა მადლობა გადაუხადა მოსკოვში ახლად დანიშნულ ლატვიის დესპანის ოზოლსის მიღების გამო, მან აღნიშნა, რომ ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთობა თანდათან უმჯობესდება და იმედი გამოსთქვა, რომ სატრანზიტო ტარიფის საკითხი კეთილად მოგვარდება.

საკავშირო რესპუბლიკა საერთაშორისო სარკინიგზო ყრილობაზე.

მოსკოვი. 22 სექტემბერი. პარიზში გამგზავრებული მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ინსპექტორი დოლგოვი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სარკინიგზო ყრილობაზე, რომელზედაც საბოლოვოდ გადასწყდება რუსეთის მიღების საკითხი კავშირის წევრად და აგრეთვე საკითხი კონცესიის დადებისა რუსეთსა, ლატვიასა, გერმანიასა და ლიტვიას შორის. ამის გარდა დოლგოვი დაწვრილებით შეისწავლის საფრანგეთის სატრანსპორტო საქმეს.

საბჭოთა რუსეთის და ლატვიის რკინისგზის კონფერენცია.

რიგა. 20 სექტემბერი. 1 ოქტომბრიდან გაიხსნება საბჭოთა რუსეთის და ლატვიის რკინისგზის კონფერენცია.

სხვადასხვა

გერმანია

ამხ. სოკოლნიკოვი ბერლინში.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბერლინში ჩავიდა ამხანაგი სოკოლნიკოვი, რომელმაც გააცნო გერმანიის და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს ს. ს. რ. კ. საფინანსო მეურნეობის და ეკონომიური პოლიტიკის განვითარება.

ამერიკა

ამერიკელი სენატორები გაემგზავრენ ამერიკაში.

მოსკოვი. 21 სექტემბერი. ამერიკელი სენატორი ლედი და ფრირის კონგრესის წევრები გაემგზავრენ ამერიკაში.

ნიუ-იორკი უგაზეთოდ.

ბერლინი. 21 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ ნიუ-იორკიდან, რომ იქ, მბეჭდავების გაფიცვის გამო, რომლებიც მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას, 18 სექტემბერს არ გამოსულა დილის დიდი გაზეთები.

პალესტინა

ტრანს-იორდანიის მთავრობის გადადგომა.

ბერლინი. 19 სექტემბერი. ტრანს-იორდანიის მეამბოხეებმა მთავრობის ჯარი დაამარცხეს, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლის ევაკუაცია.

ლონდონი 22 სექტემბერი. ანგორიდან მიღებულ ცნობით, ოსმალეთის ჯარები კონსტანტინოპოლში შევლენ 1 ოქტომბერს.

ნაციონალისტების შეტაკება ნავთსადგურის გაფიცულ მუშებთან.

ვარშავა 22 სექტემბერი. დანციგში ნავთსადგურის გაფიცულმა მუშებმა ნაციონალისტების კრება ჩაშალეს. შეტაკების დროს რამოდენიმე მუშა დაიჭრა.

რეპატრიაციის კომისია გაემგზავრა.

ოდესა. 22 სექტემბერი. სტამბოლში გაემგზავრა საკავშირო რესპუბლიკის სარეპატრიაციო კომისია.

იაპონია

მუშათა ორგანიზაციებს აღრჩობენ.

კობე. 23 სექტემბერი. დააპატიმრეს თითქმის ყველა კომუნისტები, სოციალისტები და პროფკავშირთა წევრები, მათ შორის ყველა წევრები მესაათების, მბეჭდავებისა და დურგალთა კავშირებისა.

ოფიციალურის ცნობით, 3000-დე კორეიელი დაპატიმრებულია ტოკიოს აღმოსავლეთ გარეუბნებში.

იაპონიის უბედურების დაწვრილებითი ცნობები.

ბერლინი. 21 სექტემბერი: ნახევრად ოფიციალური ცნობებით, იოკაგამაში კატასტროფის დროს დაიღუპა 125,000 კაცი. ტოკიოში კრემატორიუმში უკვე დამწვარია 100,000 გვამი. ინგლისის და ამერიკის საელჩოები მოეწყვენ სამხედრო გემებზე, რადგანაც ეშინიათ ეპიდემიის.

ნორვეგია

საჭიროა საბჭოთა რუსეთის ცნობის დაჩქარება.

ქრისტიანია. 23 სექტემ. ნორვეგიის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ნორვეგიაში მყოფ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. კალანტაის მოღვაწეობას რუსეთ-ნორვეგიის დაახლოვების საქმეში, აღნიშნავენ რუსეთის სწრაფად აღდგენას და აგრეთვე არსებით მნიშვნელობას ნორვეგიისათვის რუსეთთან საალებ-მიცემო ურთიერთობის განახლებისას. „არბეიტერ ბლადეტ"-ი აღნიშნავს საბჭოთა რუსეთის დე-იურე ცნობის საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოები უკმაყოფილონი არიან.

იტალიის მიერ კუნძულ კორფუს ევაკუაცია.

ლონდონი 23 სექტემბერი. ათენიდან იუწყებიან, რომ იტალიის მთავრობამ ბრძანება გასცა კუნძულ კორფუს ევაკუაციის შესახებ. არტილერია და სამხედრო მასალები უკვე გადატვირთულია გემებზე. ევაკუაცია 1 ოქტომბერს დამთავრდება.

სამხედრო დიქტატურა დიდ განსაცდელშია.

პარიზი 23 სექტემბერი. ესპანეთის ახალ მთავრობის მეთაურს მხარს უჭერენ მსხვილი კაპიტალისტები და სამღვდელოება. დემოკრატიული რესპუბლიკანური და ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთები ცენზურის ბრჭყალებში იმყოფებიან. რევოლიუციონურ წრეებს ეჭვი შეაქვთ სამხედრო დიქტატურის სიმტკიცეში, ვინაიდან იგი ვერ შესძლებს ესპანეთის ფინანსიურ კეთილდღეობის შექმნას და საგარეო ვაჭრობის აღდგენას. მაროკოს ავანტიურასაც ასეთივე უნუგეშო ბედი მოელის.

პოლონეთი

მარკა ეცემა.

ვარშავა 22 სექტემბერი. დანციგში დოლარის კურსმა 400.000 პოლონურ მარკას მიაღწია.

დანია

კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანება.

კოპენჰაგენი 23 სექტემბერი. კომინტერნის დადგენილების თანახმად, დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ შეიმუშავა პრინციპები კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანებისა.

იტალია

კიდევ იღრინებიან.

ვენა 23 სექტემბერი. იტალიის დელეგაციის წევრთა მკვლელობის გამომძიებელი კომისია, ელჩთა კონფერენციაზე მოხსენების დროს, ამტკიცებდა, რომ ბერძნებს მონაწილეობა არ მიუღიათ მკვლელობაში, მაგრამ საბერძნეთის მთავრობა მაინც დამნაშავეა, რომ ენერგიული ზომები არ მიიღო მკვლელების აღმოსაჩენად.

კომისიის იტალიელმა წევრებმა ცალკე მოხსენება გაგზავნეს, სადაც ამტკიცებენ, რომ საბერძნეთი დამნაშავეა მკვლელების დაფარვაში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანია.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა.

ოპოზიციონურ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საწინააღმდეგო პროვოკაცია, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა, რომელმაც დაითხოვა სრულიად-გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომისია,—ღებულობს სისტემატიურ ხასიათს.

შტეტინში აკრძალული იყო ოპოზიციონურ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრება იმის მომიზეზებით, რომ ისინი ისახავენ იმავე მიზნებს, რომელმაც ისახავდა სრულიად-გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომისია. და როდესაც დანიშნულ დღეს იმ შენობასთან, რომელშიაც უნდა გამართულიყო კრება, მოგროვდა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლებმაც არ იცოდენ კრების აკრძალვის შესახებ არაფერი, ისინი გარეკილ იქნენ პოლიციის მიერ. შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ შტეტინში არ არსებობს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისია, ბერლინის ხუთმეტთა კომისიის მზგავსად, ქალაქის ობერ-პრეზიდენტმა, დემოკრატმა ლიმპანმა და პოლიციის სოც.-დემოკრ. პრეზიდენტმა მოსთხოვეს ოპოზიციონურ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს დაეთხოვათ მათი ხუთმეტთა კომისია.

ბრესლავში პოლიციამ კონფისკაცია უყო „სილეზიის მუშათა გაზეთის"-ს ნომერს, რომელშიაც მოთავსებული იყო სილეზიის ოპოზიციონურ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პროტესტი ზევერინგის მიერ სრულიად-გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისიის დათხოვნის წინააღმდეგ.

კაპიტალისტური პრესა, ცხადია, ყოველმხრივ ხელს უწყობს მთავრობის ასეთ ზომებს. როგორც ვიცით, სრულიად-გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისია ბერლინიდან გადავიდა ტიურინგიაში. და აი, „დოიტშე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი მოითხოვს სრულიად-გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ახალ გამოსვლას ამ კომისიის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს: „სრულიად-გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანას შეადგენს ურთიერთობის დაჭერა გერმანიის კავშირის სახელმწიფოებთან, რათა აღმოფხვრილი იქნეს სასტიკი წინააღმდეგობა პრუსიის და გერმანიის პოლიტიკაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სრულიად-გერმანიის კომისიის მიმართ.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დევნა იწვევს ერთსულოვან პროტესტს ყველა მუშებში განურჩევლათ პარტიისა.

ოტტო იხმან-ბორზიგის ფირმის მუშები ერთხმად ჰგმობენ ზევერინგის ბრძანებას. ფირმა „ოსრამ"-ის პერსონალი სასტიკ პროტესტს აცხადებს სრულიად-გერმანიის კომისიის დახურვის წინააღმდეგ. რეინიკენდორფში „გეინ, ნეიმან და კომპ."-ის ფირმის მუშები მოითხოვენ ზევერინგის ბრძანების გაუქმებას. რურის რაიონის 344 ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ გამოსთქვა აღშფოთება ზევერინგის მიერ სრულიად-გერმანიის კომისიის და მისი ქვე-კომისიის დახურვის გამო, და მოითხოვს ამ ბრძანების გაუქმებას და პროლეტარული რაზმების შედგენის ნებართვას.

ბრწყინვალეთ ჩატარებული საერთო კრება ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ერთხმად მოუწოდებს გერმანიის ყველა მუშებს პროტესტი განაცხადონ ზევერინგის ბრძანების წინააღმდეგ და კიდევ უფრო განამტკიცონ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისიის ძლიერება.

პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების გაუქმების შესახებ.

იენში ფაბრიკა-ქარხნების მთავარ (აღმასრულებელ) კომიტეტის სხდომაზე დადგინეს საქმე აკრძალ ბრძანების შესახებ, გადაიტანონ ს ხელმწიფო სასამართლო პალატაში. რაც შეეხება შემდეგს, კომიტეტ დაადგა იმ თვალსაზრისს, რომ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სრულიად—გერმანიის კომისიას არავითარ პირობებში არ შეუძლია შეწყვიტოს თავის მუშაობა. ის გადავა და ტიურინგიაში მხოლოდ იმიტო რომ უფრო მოეწყო და გაეფართოვებია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

რა ხდება გერმანიაში

მოსალოდნელ გადატრიალების შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, გერმანიის მთავრობა საგანგებო ზომებს ღებულობს.

„როტე ფანე" კიდევ დახურეს ორი კვირით.

საყოველთაო გაფიცვა ბადენში მუშების გამარჯვებით დასრულდა. მრეწველები დასთანხმდენ ხელფასის მიცემას ოქროს კურსით. სხვა ოლქებშიც გაფიცვები თავდება მუშების გამარჯვებით.

ამერიკულ გაზეთის ცნობით, გერმანიის მთავრობამ უკვე მოამზადა ოფიციალური განცხადება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია მოითხოვს ჯარის რეორგანიზაციას და უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

გერმანიის მთავრობა იმუქრება სასტიკი ზომების მიღებით.

გერმანიის კაბინეტის საგანგებო თათბირი.

ბერლინი. 24 სექტემბერი. მოსალოდნელ გადატრიალების შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, გერმანიის კაბინეტის საგანგებო თათბირი მოხდა ებერტის თავმჯდომარეობით. გამოიცა ოფიციალური ცნობა, რომ მთავრობას მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები წესიერების და უფლება მოსილობის დასაცავად.

„როტე ფანე" კიდევ დახურეს 2 კვირით.

მუშების წინააღმდეგობა თანდათან მწვავდება.

ბერლინი. 24 სექტემბერი. ბადენსა და მანჰეიმში გაფიცვა მუშების გამარჯვებით დასრულდა. მანჰეიმის მრეწველები დასთანხმდნენ ხელფასის გასწორებაზე ოქროს კურსით. მუშაობა განახლდა.

ლერახში მოლაპარაკება გრძელდება მრეწველებსა და მუშებს შორის გაფიცვის დღეებში ხელფასის მიცემის შესახებ.

შტუტგარდტში საყოველთაო გაფიცვა გრძელდება.

გლეიცში მასიური დემონსტრაცია გაიმართა სიძვირის ნიადაგზე. მონაწილეობდა 100,000 მუშა. პოლიციასთან შეტაკების დროს, რამოდენიმე კაცი დაიჭრა. ჰამბურგში ერთი საათით მოაწყვეს საყოველთაო გაფიცვა იმის გამო, რომ მთავრობას არა სურს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

გერმანიის მთავრობა მომზადებულია.

ნაუენი. 24 სექტემბერი. გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის მთავრობამ უკვე მოამზადა ოფიციალური განცხადება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ და წინასწარი ზომები მიიღო სამხედრო წესების გამოცხადებისათვის იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში მღელვარება დაიწყო.

გერმანიის მთავრობის მუქარა.

ბერლინი. 24 სექტემბერი. რურის მდგომარეობისა და პასიურ წინააღმდეგობის საკითხის გარჩევისათვის მოწვეულ მთავრობას, გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა პრემიერებისა და საოკუპაციო ოლქების წარმომადგენელთა თათბირის წინ მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ პრეზიდენტ ებერტს და გერმანიის კაბინეტს მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი საჭირო ზომების მიღება რესპუბლიკის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოსვლის შემთხვევაში.

ფაშისტების გულახდილი განცხადება.

ბერლინი. 24 სექტემბერი. მიუნხენში გამართულ მიტინგზე ბავარიის ულტრა-ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ საჭიროების დროს ისინი თვითონ გადასწყვეტენ შეიარაღებული ძალით გერმანიის საკითხს.

შემთანხმებლები ვერ ბედავენ პირდაპირ მიემხრონ მთავრობას.

ბერლინი. 24 სექტე[illegible]. გუშინდელი გაზეთები ხაზგა[illegible] [illegible]ნიშნავენ, რომ მომავალი კვი[illegible] [illegible]მწყვეტი იქნება გერმანიის შ[illegible] [illegible]იღბალისთვის. გაზეთები [illegible] [illegible]დღეზე უფრო პესიმისტურა[illegible] [illegible]იან განწყობილი განსაკუთრებით [illegible]ტომ, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ არიან საკმაოთ ენერგიულნი კოალიციურ მთავრობისათვის მხარის დაჭერაში, რომელიც ყოყმანობს დიქტატურის გამოცხადების საკითხში. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ საქსონიის პრემიერს ცეიგნერს, რომელიც ენერგიულათ ილაშქრებს თავდაცვის მინისტრის გესლერის წინააღმდეგ და რომელიც მოითხოვს ცვლილებებს სამხედრო სამინისტროში და არმიაში. სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტს"-ი, არჩევს რა მეთაურ წერილში შექმნილ მდგომარეობას, მაინც მთავრობას ემხრობა.

შტრეზემანის მთავრობის მზადება.

რომი. 24 სექტემბერი. ვოლფის სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ პრეზიდენტს ებერტს ქონდა თათბირი გერმანიის კაბინეტთან, რომელზედაც გამომუშავებული იყო საჭირო ზომები, რომლებსაც მთავრობა მიიღებს მისი ჩამოგდების ცდის შემთხვევაში.

შტრეზემანის თათბირი ბავარიის პრემიერთან.

რომი. 24. სექტემბერი. კანცლერ შტრეზემანს თათბირი ჰქონდა ბავარიის პრემიერ კნილინგთან ბავარიის მდგომარეობის შესახებ.

საკონტრიბუციო საკითხი და რურის კონფლიქტი

ინგლისის და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეების პოზიციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცვლილებებმა, რომელიც მოხდა გერმანიის მთავრობის პოზიციაში.

გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენელთა თათბირი განიხილავს საკითხს გერმანიის მომავალი პოლიტიკის შესახებ რურში და რეინლანდში.

გამოირკვა, რომ ინგლისი ძველ თვალსაზრისზე სდგას სარეპარაციო საკითხის მიმართ.

ლონდონის პოლიტიკური წრეების აზრი.

რომი. 24 სექტემბერი. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბალდვინი აცნობებს კაბინეტს პუანკარესთან თათბირის შედეგებს. პარიზის თათბირის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ გამოქვეყნდება მანამდე, სანამ ბალდვინის მიერ აღებულ ახალ ხაზს არ მოიწონებს ინგლისის კაბინეტი, მიმდინარე ამბებით დაინტერესებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ **ინგლისის და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეების პოზიციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ცვლილებებმა, რომელიც მოხდა გერმანიის მთავრობის პოზიციაში.** ამჟამად რურის კონფლიქტი უახლოვდება თავის გადაჭრის მომენტს და მდგომარეობა თვით რურში ძლიერ შეიცვალა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაზე.

შტრეზემანის თათბირი გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერებთან.

ბერლინი. 24 სექტ. დღეს გაიმართება შტრეზემანის და გერმანიის კაბინეტის თათბირი გერმანიის შემადგენლობაში არსებულ სახელმწიფოთა პრემიერებთან, რომელზედაც შტრეზემანი დაახასიათებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას დაკავებულ ოლქებში. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ **ამ თათბირზე გადაწყდება საკითხი გერმანიის მთავრობის მომავალი პოლიტიკის შესახებ რურში და რეინლანდში.**

ნანსენის მოთხოვნილება.

ბერლინი. 24 სექტ. ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე ჟენევაში ნანსენი გამოვიდა მოთხოვნილებით დაუყოვნებლივ იქნეს გადაჭრილი საკონტრიბუციო საკითხი, რადგანაც მდგომარეობა ძლიერ რთულდება.

გაბრაზებული არიან პარიზის კექმალულობით.

ლონდონი. 24 სექტ. პოლიტიკურ წრეებში დიდი მღელვარება და უკმაყოფილება მეფობს იმ საიდუმლოების გამო, რომლითაც მოცული იყო პრემიერთა შეხვედრა პარიზში. საინტერესოა ხმები, რომლებიც გავრცელებულია პოლიტიკურ წრეებში კერზონის და ბალდვინის დამოკიდებულების გაუარესების შესახებ.

„მანჩესტერ გარდიენ"-ი ოფიციალურ წყაროებით ამოწმებს თავის განცხადებას, რომ **ინგლისი ძველ თვალსაზრისზე დგას სარეპარაციო საკითხის მიმართ.** გაზეთების ცნობით, ბალდვინმა განუცხადა პუანკარეს, რომ **ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ საფრანგეთის მხრით დათმობის შემთხვევაში და რომ ინგლისი არ დაუშვებს საფრანგეთ-გერმანიის სეპარატიულ მოლაპარაკებას.** მეორეს მხრით კი „ნიუს სტეიტსმან"-ს ეჭვი არ აქვს იმაში, რომ ბალდვინმა უარყო ინგლისის სარეპარაციო პოლიტიკის ძველი პრინციპები.

პარლამენტის წევრი, მუშათა პარტიის წარმომადგენელი გოგსტონი სწერს: უკეთუ საფრანგეთი გაანთავისუფლებს რურს და რეინის ოლქს და აგრეთვე დათანხმდება სარეპარაციო საკითხის საერთაშორისო ტრიბუნალის განხილვისათვის გადაცემაზე, ინგლისი თანახმა გახდება საფრანგეთის ვალებისათვის შეღავათის მიცემაზე და მის უზრუნველყოფაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში **ინგლისი ხელს აიღებს ვერსალის ხელშეკრულების აღსრულებისათვის საფრანგეთთან თანამშრომლობაზე,** მოითხოვს საფრანგეთისაგან ვალების გადახდას და სეპარატიულ მოლაპარაკებას დაიწყებს გერმანიასთან.

აჯანყება ბულგარეთში

გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი მთავრობის ჯარსა და აჯანყებულთა შორის.

აჯანყებულთა ხელშია მთელი ტერიტორია ვარნა-ბურგას შორის.

ჩარპანთან და ახალ ზაგორასთან ბრძოლაში მოკლულია 100-ზე მეტი კომუნისტი.

სოფიაში ჩავიდა ბულგარეთის მეფე, რომ ხელი მოაწეროს მთავრობის გადადგომის დეკრეტს.

მთელი ბულგარეთი გამოცხადებულია საალყო წესებში.

მთელი ბულგარეთი მოცულია მღელვარებით.

ვენა. 24 სექტემბერი. ბულგარეთიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებით, **ლომპალანკში და ვიდინიში გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს მეამბოხეთა და მთავრობის ჯარებს შუა მეამბოხეთა ხელშია მთელი ტერიტორია ვარნა-ბურგას-ძველი ზაგორა-ახალი ზაგორას ხაზამდე.** მიმოსვლის კავშირი ვარნასთან გაწყვეტილია. მოძრაობას სათავეში უდგას პენიოვი. რკინისგზის გაფიცვას მიემხრენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურებიც; მიმოსვლის კავშირი სოფიასთან გაწყვეტილია. ბულგარეთიდან ჩამოსული მგზავრები ირწმუნებიან, **რომ მთელი ქვეყანა მოცულია მღელვარებით.** ჩეხიის ოფიციალური სააგენტო იუწყება, რომ აჯანყება სამხრეთ-ბულგარეთში ჩაქრობილია. **ჩარპანთან და ახალ ზაგორასთან ბრძოლაში მოკლულია 100-ზე მეტი კომუნისტი.** პროლეტარულ და გლეხურ რაზმების წინამძღოლი გენერალი ველზე დატუსაღებულია. მისი შვილი მოკლულია.

თავბრუდასხმულ ხალხის უძლური მოწოდება.

ვენა. 24 სექტემბერი. გზათა მინისტრი,-სოციალ-დემოკრატი კაზასოვი და რკინისგზელთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი მოუწოდებს რკინისგზელებს თავისი მოვალეობის სასტიკი შესრულებისაკენ.

უძლური შურისძიება

ვენა. 24 სექტემბერი. სოფიაში პოლიცია თავს დაესხა კომუნისტურ მოქმედების კომიტეტის სხდომას, მოკლეს კომუნისტი გიჩევი და დააპატიმრეს 5 კაცი. ერთი მონაწილე მიიმალა.

ბულგარეთის კაბინეტი გადადგა.

ვენა. 24 სექტემბერი. ბულგარეთის მეფე სოფიაში ჩამოვიდა ხელის მოსაწერათ დეკრეტზე საგანგებო მდგომარეობის შესახებ, პალატის დათხოვნისა და ახალ არჩევნების დანიშვნისათვის. ცანკოვმა ჩააბარა მეფეს თხოვნა კაბინეტის გადადგომისა და ახალის შედგენის შესახებ, რომელშიც ნაციონალ-ლიბერალები მონაწილეობას არ მიიღებენ, რათა ამით დაკმაყოფილებულ იქნეს სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება.

საალყო წესები.

ბერლინი. 25 სექტემბერი. მთელ ბულგარეთში გამოცხადებულია საალყო წესები.

184.000 დაჭრილი.

ბერლინი. 24 სექტემბერი. ბულგარეთიდან იუწყებიან, რომ მეამბოხეთა და მთავრობის ჯარს შორის მომხდარ ბრძოლების დროს დაჭრილია სულ 184000 კაცი. იტალიის გაზეთების ცნობით, ბულგარეთის მთავრობამ შესძლო აჯანყების ჩაქრობა.

საბჭოთა რუსეთი და უცხოეთი

ინგლისი.

„რუსეთ-ევროპის მეგობრული ურთიერთობა მალე დამყარდება".

ლონდონი. 23 სექტემბერი. ინგლისის პარლამენტის წევრმა ფრანკ გრეიმ, რომელიც ეკუთვნის ლიბერალურ პარტიას,—ასკვიტის ჯგუფს, „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბარში სთქვა:

„რუსეთი სწრაფათ აღორძინდება. საბჭოთა მთავრობა მტკიცეა. რუსეთის ხალხი ნდობით ეპყრობა თავის მთავრობას. რუსეთსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის განახლებას დიდათ აფერხებდა ყალბი ინფორმაცია რუსეთის შესახებ, რომელიც ევროპაში ვრცელდება. რაც უფრო კარგათ და მალე გაეცნობა ევროპა რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას, მით უფრო ჩქარა დამყარდება მეგობრული კავშირი რუსეთსა და ევროპას შუა".

გამოფენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გრეიზე. მისი აზრით, გამოფენა საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ რა რიგ სწრაფათ ვითარდება ქვეყნის მეურნეობა.

გერმანია.

სავაჭრო კავშირი რუსეთთან.

ბერლინი. 23 სექტემბერი. ჟურნალისტებთან საუბარში შტრეზემანმა აღნიშნა, რომ ვოლფის ჯგუფი, რომელსაც რუსეთში ჰოლანდიის და სხვა ქვეყნის კრედიტების საშუალებით სატყეო კონცესიები მიიღო, წარმოადგენს რუსეთში მომუშავე ფირმებში ყველაზე უფრო ცხოველმყოფელ გერმანულ ფირმას, სარეპარაციო გარანტიები ეხება მხოლოთ გერმანიის ფარგლებში არსებულ წარმოებებს და სრულიათ არ ვრცელდება საზღვარგარეთულ წარმოებებზე.

საბჭოთა კავშირი და ლატვია

პოლიტიკურ პატიმართა გაცვლა.

რიგა. 21 სექტემბერი. **რიგიდან რუსეთში იგზავნება მესამე წყება პოლიტიკურ პატიმართა, სამაგიეროთ პოლიტიკურებში გასაცვლელად. სულ 21 კაცი. პატიმართა გაცვლა საზღვარზე მოხდება. გასაცვლელთა შორის იმყოფება რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელი სხირიოვ.**

საქართ. პარტიულ საბჭოთა კრების
ცენტრალურ კანტორისაგან ყოფილი [illegible]
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5-43.
ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტ"-ზე [illegible] შემდეგი ფასი:
თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით . . . 8.000.000
" " " ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 8.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის . . 5.000.000
ერთი ეკზემპლიარი 300.000
ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:
თვიური ხელის მოწერა 2.000.000
ერთი ეკზემპლიარი 500.000
ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.
0—8

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კ
მიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, სექტემბრის 28-ს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიმუშაონ თვითონ უჯრედებმა და საუბნო კომიტეტებ

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

უცხოეთის ცხოვრება

სოციალ-დემოკრატიის გზით შავრაზმელებისაკენ

პრაგა. ჩეხიის სოც.-დემოკრატიის მარცხენა ფრთას 1919 წელს ჯერ არ ჰქონდა საბოლოოთ გაწყვეტილი კავშირი პარტიასთან. მხოლოთ 1920 წ. იგი გამოიყო სოციალ-დემოკრატიიდან და მან ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტია დაარსა 1919 წელს; მარცხენა ფრთა თანდათან იზრდებოდა, მისი გავლენა მუშათა შორის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები დიდხანს ვერ ბედავდენ ბრძოლის დაწყებას მემარცხენეთა წინააღმდეგ მიუხედავათ მათდამი მთელი თავისი მტრული განწყობილებისა. სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადება მემარცხენეთა წინააღმდეგ მემარჯვენეებმა გაბედეს მხოლოთ 1920 წლის შემოდგომას, როდესაც მემარცხენეებმა მიუღებლათ გამოაცხადეს. ბურჟუაზიასთან კოალიცია და მე-3 ინტერნაციონალის პლატფორმის მიღება მოითხოვეს. სოციალ-დემოკრატიულ ბელადებს შორის მხოლოთ ორმა,—გუდეცმა და მოდრაჩეკმა,—იმ თავითვე შეურიგებელი ომი დაიწყეს მემარცხენეთა წინააღმდეგ. მათ წამოაყენეს აშკარათ ნაციონალისტური ლოზუნგები, რომელთა გულახდილათ მიღებას დანარჩენი ს.-დემოკრატიული ლიდერები დიდხანს ვერ ბედავდენ. გარდა ამისა ისინი მიემხრენ კრამარჟის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებას ანტისაბჭურ ინტერვენციის შესახებ, გუდეცმა და მოდრაჩეკმა თავიანთ მიმდევრებითურ რომლებსაც ისინი წვრილ-ბურჟუ ზიულ წრეებში კრეფდენ, გასწყვიტ კავშირი სოც.-დემოკრატიულ პა ტიასთან და დაარსეს საკუთარი პა ტია, ეგრედ წოდებული „პროგრ სიულ სოციალისტების" სახელწ დებით. ამ პარტიის უმცირესობა გ დეცის მეთაურობით ისეთი სისწრა ფით განაგრძობდა ლოღიკურ ევო ლიუციას მარჯვნისაკენ, რომ პარტიის უმრავლესობას მოდრაჩეკის მეთაურობით შეეშინდა თავისი სოციალისტურ რეპუტაციის უკანასკნელ ნაშთის დაკარგვისა, გაემიჯნა რა „პროგრესიულ სოციალისტების" პარტიას, ეს უმრავლესობა მიმდინარე წლის დასაწყისში კვლავ დაუბრუნდა სოციალ-დემოკრატიის წიაღს. პროგრესიულმა სოციალისტებმა კი გუდეცის მეთაურობით გამოაფი წმინდა ფაშისტური ლოზუნგები თავის ცენტრალურ ორგანოში მ სოლინისათვის მიბაძვის ქადაგებ დაიწყეს. დასასრულ, პროგრესიული სოციალისტები შავრაზმულ ჯგუფში შეგროვდენ, რომელიც „სლავიანურ სოციალურ ანტისემიტურ პარტიის" ამაყ სახელს ატარებს და რომელსაც ხელმძღვანელობს პრაგაში ცნობილი ავანტიუ რისტი ხოცი. ამ პარტია თავი ისახელა სენსაციურ „გამო ქღავნებით" შესახებ იმისა, რომ სარიკი და ბენეში თითქოს მოსყ დული იყვნენ ურიებით და სხვ.

წითელი ქრონიკა

რუსეთში.

გერმანიის მუშები რუსეთის მშრომელი ხალხისაგან ელიან შველას.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. მიწატყის მუშაკთა მისალმების დროს, კომინტერნის წევრმა ამხ. გერნლემ აღნიშნა, რომ გერმანიის პროლეტარიატი რუსეთის მშრომელი ხალხისაგან მოელის შველას, რათა ბურჟუაზიულ წყობილების ნანგრევებზე შექმნას ახალი ძლიერი კავშირი გერმანია-რუსეთისა.

იტალიის პროლეტარიატის წარმომადგენლის სიტყვა.

იტალიის პროლეტარიატის წარმომადგენელმა ტრესსომ განცვიფრება გამოსთქვა იმის გამო, თუ რა შესძლებია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, როდესაც ხელისუფლება მათ ხელშია.

სრულიად საკავშირო გამოფენა ნიშანია მშრომელი ხალხის ბრწყინვალე მომავლისა.

მიწა-ტყის მუშაკთა სარევოლიუციო პროპაგანდის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გერმანიის რეაქცია მიმართულია არა მარტო ქალაქის პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ გერმანელ მშრომელ გლეხობის წინააღმდეგაც. მაგრამ გერმანიის მშრომელი ხალხი გულს არ იტეხს და იმედიანად შესცქერის ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც მიაღწევს ინტელიგენტ მუშებისა და მშრომელი გლეხობის კავშირით. გამოფენა სიმბოლოა ამ წითელი მომავლისა, რომელიც საბჭოთა რუსეთში სინამდვილედ ქცეულა.

საფრანგეთის პროლეტარიატი მხარს დაუჭერს გერმანიის რევოლიუციას.

საფრანგეთის წარმომადგენელმა კასტელმა განაცხადა: „ჩვენ, ფრანგები, თქვენთან ერთად მხარს მივცემთ გერმანიის რევოლიუციას".

მისალმების შემდეგ, მოისმინეს სიტყვა ამხ. სონიუშკინისა, კავშირის წევრთა შორის კულტ-მუშაობის შესახებ.

რუსეთის გლეხობა დაეხმარება გერმანელ მოძმეებს.

მოსკოვი. 24 სექტ. გერმანიის კოოპერაციის წარმომადგენელმა ბიტმა გამოფენაზე იმედი გამოსთქვა, რომ **რუსეთის გლეხობა დაეხმარება გერმანიის გლეხობას მოჭარბებული მოსავლისა და პურის მიწოდებით.** მიტინგის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ლენინი. გამოფენაზე მთელი დღის განმავლობაში იკითხებოდა ლექციები და მოხსენებანი კოოპერაციის მნიშვნელობაზე გლეხთა მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ჩუვაშელ გლეხების მოსაზიდათ.

ჩებოკსარი. 23 სექტ. საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა 50,000 მანათი გადასდო, რათა გამოფენაზე საექსკურსიოთ მიიზიდოს ჩუვაშელ გლეხები.

გამოფენისკენ ეშურებიან.

გომელი. 23 სექტ. გამოფენაზე გაემგზავრა ერთი წყება ექსკურსანტ-გლეხებისა, რიცხვით 200 კაცი.

ტვირთის გადაზიდვა ავტომობილებით.

მოსკოვი. 25 სექტ. ორშაბათს ავტომობილების ქარავანი ტვერში მივა, სამშაბათს კი მოსკოვში იქნება—ამ დღეებში ავტომობილებს ქარავანით დაიწყება ტვირთის გადაზიდვა. მონაწილეობს 20 ავტომობილი.

დახმარება მეთევზეებს.

მოსკოვი. 23 სექტ. რუსეთის ეკონომიურმა საზოგადოებამ წინადადება მისცა მეთევზობის მთავარ სამმართველოს, რათა სოფ. სერბოევკის გლეხებს (არხანგელსკის გუბ.) მისცეს 96 ადგილი თევზის დასამარილებლად.

უკრაინის შინამრეწველობის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ხარკოვი. 25 სექტ. არსდება შერეული სააქციონერო საზოგადოება 100 მილიონ ოქროს თანხით, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის შინამრეწველობის ნაწარმოებთა გაზიდვას.

სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ა. კ. ბიუროს პლენუმის სესია

19 სექტემბერს გაიხსნა სრ. რ. პ. კ. ც. ს. ა. კ. ბიუროს პლენუმის მესამე სესია, რომელსაც დაესწრენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის პროფ-საბჭოების ა. კ. შრომის სახ. კომის-ის, რკ. გზის მუშათა კავშირის წარმომადგენელნი და კავშირის ცენტ. კომიტეტის რწმუნებულნი და სხვები. პლენუმმა გაარჩია შემდეგი საკითხები.

ა. კავკ. პროფკავშირების ყრილობა.

ა. კავკასიის პროფ-კავშირთა ყრილობა პლენუმის დადგენილებით მოწვეული იქნება ამა წლის 25 ოქტომბერს. დღის წესრიგში შევა სრულიად რ. პ. კ. ც. საბჭოს და ა. კავკასიის ბიუროს მოხსენებები, და აგრეთვე სატარიფო და საორგანიზაციო საკითხები. სრ. რ. პ. კ. ს. პრეზიდიუმის წევრს გარდა პერსონალურად მოწვეული იქნება სრ. რ. პ. კ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტომსკი.

ეროვნული ენა პროფკავშირებში.

ეროვნული ენის პროფკავშირებში შემოღების შესახებ პლენუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელნიც პროფსაბჭოებმა უნდა გაატარონ ცხოვრებაში სამი თვის განმავლობაში.

პროფმოძრაობა არის უმთავრესად მოძრაობა წმინდა კლასიური ხასიათისა და მხოლოდ ამ თვისების მიხედვით იგი არა-ეროვნულია და უადგილოა ამ მოძრაობის დაყოფა ეროვნულ თვისებათა მიხედვით. აუცილებელია ა.-კავკასიის ეროვნული სხვადასხვაობის გათვალისწინება პროფკავშირების მიერ და ამის მიხედვით მუშაობის წარმოება შემდეგ საფუძველზე.

1) საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობა (როგორიც არის ლექციები, სამკითხველოები, საკლუბო მუშაობა) უნდა სწარმოებდეს ეროვნულ ენაზე, კავშირების წევრთა უმრავლესობის მშობლიურ ენაზე.

პროფ-ლიტერატურა უნდა იცემოდეს კავშირის წევრთა დედა-ენაზე, 3) ტეხნიკური აპარატი უნდა მოეწყოს ისე, რომ მუშაკებმა შესძლონ წევრების სამსახური მათ დედა-ენაზე, 4) კავშირებში საქმის წარმოების საკითხის დამუშავება თვითეულ რესპუბლიკის პირობების შეფარდებით დაევალა პროფსაბჭოებს, 5) საქმიანი კრებები, თათბირი და სხვა ასეთი, უნდა სწარმოებდეს ყრილობაზე კრების წევრთა უმრავლესობის ენაზე, ამავე დროს სავალდებულოა მოხსენების მდგომარეობა კრების წევრთა უმცირესობის ენაზე. 6) იურიდიული დახმარება და აგრეთვე სხვა განმარტებანი წევრებს უნდა ეძლეოდეს მშობლიურ ენაზე. 7) წერილობითი დამოკიდებულებანი პროფ-კავშირებსა, ამიერ-კავკასიის ორგანოებსა, ცენტ. კომიტეტსა და სრ. რ. პ. კ. საბჭოს შორის იწარმოებს რუსულ ენაზე, ხოლო ჩამავალი ხაზის მიხედვით, ე. ი. კავშირი პროფ-საბჭოებისა, სამაზრო პროფ-ბიუროები ცენ. გამგეობისა და სამაზრო განყოფილებებს შორის სახელმწიფო ენაზე და იმ ენაზე, რომელიც მისაწვდომია. ამ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობისათვის.

პროფმუშაკთა მომზადების შესახებ.

პლენუმმა მიზანშეწონილად აღიარა სალამოს კურსების მოწყობა პროფ-მოძრაობის შესასწავლად და ამავე დროს წინადადება მისცა ცალკე კავშირებს გააჩაღონ მუშაობა პროფ-წრეების მოსაწყობად.

თურქებისათვის პროფ-მუშაკების მოსამზადებლად გადაწყდა გაიხსნას სამთვიანი კურსები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

სკოლები ბათომში.

ბათომი. 22 სექტემბერი. მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისში ბათომში ირიცხება 16 სკოლა, ამათგან პირველ დაწყებითი 8, მეორე საფეხურისა—5 და ტეხნიკუმიც 3.

პოლიტცოდნის შემოწმება.

ბათომი. 22 სექტემბერს; სექტემბრის 25-საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათომის ორგანიზაცია აწყობს პოლიტცოდნის შემოწმებას.

ქობულეთის აღდგენა.

ბათომი. 22 სექტემბერი. ქობულეთის აღსადგენად ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია. ქობულეთის საკურორტო სამმართველოს ხელმძღვანელად მოწვეულია ინჟენერი კუზნეცოვი. უპირველესად შეაკეთებენ ლიანოზოვის აგარაკს. მუშები უკვე გაიგზავნა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

გორი. 24 სექტემბერი პირველად მაზრაში სოფელ სვენეთის მიერ ჩაბარებული იქნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 23 ურემი ხორბალი. ჩაბარება გრძელდება.

აზერბეიჯანი.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 22 სექტემბერი. სექტემბრის 17—20 ბაქოდან ასტრახანში გაუტანიათ 2,401,920 ფუთი შავი ნავთი და 1,919,201 თეთრი ნავთი; პეტროვსკიდან ბაქოში გროზნის პარაფინის ნავთი—279,355 ფუთი; კრასნოვოდსკში—132,413 ფ. ასტრახანში—91,703 ფ. რაკუშიდან ასტრახანში 218,000 ფ. ბაქოდან კრასნოვოდსკში 176,673 ფ. შავი ნავთი, 30576 ფ. თეთრი: ამხ. არტემას სახელობის კუნძულიდან ასტრახანში 238,195 ფ. შავი ნავთი.

სასამართლო სამკურნალო ექსპერტიზა.

ბაქო. 22 სექტემბერი. სექტემბრის 15-დან მოქმედება დაიწყო სასამართლოს სამკურნალო ექსპერტიზამ.

26 კომუნარის დღე აზერბეიჯანში.

ბაქო. 24 სექტ. ბაქოს 26 კომუნარის დადუპვის 5 წლის თავზე დიდის ზეიმით აღინიშნა მათი ხსოვნა. დღესასწაულში მონაწილეობდა ბაქოს ახლო-მახლო მდებარე სოფლების გლეხობა. სოფ. ალფანს დაერქვა სოფ. აზიზბეგოვი. საავადმყოფოს ამხ. შაუმიანის სახელი უწოდეს. საბჭოთა პარტიულ სკოლას დაერქვა ამხ. ჯაფარიძის სახელი, ქალაქის მოედანს დაერქვა „26 კომუნარის მოედანი", ბულვარის ქუჩას უწოდეს ამხ. ფიოლეტოვის ქუჩა.

ამხ. სერებროვსკის მოხსენება.

ბაქო. 24 სექტ. აზნავთის უფროსმა ამხ. სერებროვსკიმ შემდეგი განცხადება გააკეთა საფაბრიკო-საქარხნო რაიონის საერთო პარტიულ კრებაზე:

საბჭოთა რუსეთში ნავთის პროდუქტების აუარებელი მარაგი დაგროვდა. ასე, მაგალითად: კეროსინი ყოფნის 2 წელს, სამანქანო ზეთი—2 ნახ. წელს. ნავთის ნაწარმოებთა ამოდენა მარაგის დაგროვების მიზეზი შემდეგია: გლეხობა, რომელიც მშვიდობიანობის დროს წარმოადგენდა ნავთის მთავარ მომხმარებელს, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა იმ გალატაკებისაგან, რომელიც მოჰყვა 7 წლის ომს. მისი სყიდვითი უნარიანობა ძლიერ დაქვეითებულია. მეორე მხრივ ჩვენი მრეწველობის დიდმა დაცემამ შეამცირა სამანქანო ზეთების მოთხოვნილება.

ამ მიზეზების გამო აზნავთი „ხურავს მეორე ჯგუფის ქარხნებს დახლოებით ერთი წლის ვადით და ამ ვადას გამოიყენებს მათი კაპიტალურ რემონტისათვის. სახდელი ქარხნები 1914 წლიდან არ შეკეთებულა.

შეაკეთებს რა 10—12 თვის განმავლობაში მეორე ჯგუფის ქარხნებს, აზნავთი აამოძრავებს მათ და შეუდგება პირველი ჯგუფის ქარხნების ასეთსავე რემონტს, შემდეგ მესამესაც. ამ რიგათ აზნავთს 2 წლის შემდეგ ექნება სრულიად შეკეთებული, ახალი ნავთის სახდელი ქარხნები.

მუშათა ერთი ნაწილი ჩაბმული იქნება რემონტის სამუშაოში, მეორე ნაწილი კი გადაყვანილი იქნება ზაბრატისა და სურახანის სარეწაოებში. არც ერთი მუშა არ იქნება დათხოვნილი; სარეწაოებზე გადაყვანილი მუშები განსაკუთრებულ ჯილდოსაც მიიღებენ. არ იქნება, აგრეთვე, მოხდენილნი ხელფასის რაიმე შემცირება.

სომხეთი.

სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

ერევანი. 24 სექტემბერი. გუშინ ღამ დასრულდა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სესია. სესიამ მოისმინა მოხსენებანი იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და კომისიების დასკვნანი. სესიამ დაამტკიცა: სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის დებულებანი, საბჭოთა სომხეთის ხელმეორედ გადასინჯული წესდება სამართლის წარმოებისა, საბჭოთა სომხეთის საადგილ-მამულო კოდექსი და შინაგან საქმეთა კომისარიატის პროექტი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების გამართვებისა; ეს უკანასკნელი პროექტი დაამტკიცეს ზოგიერთი ცვლილებითა და დამატებით. განხილულ იქნა სოც. საბჭ. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და ერთხმად დამტკიცდა.

სხდომის დასასრულს, სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანის წინადადებით, დაისვა საკითხი სომხეთის ახალგაზრდა კომუნარების დახმარების შესახ. ამ საკითხის შესახებ ილაპარაკა სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლუკაშინმა და განათლების სახალხო კომისარმა ამხ. მრავიანმა, რომელთაც აღნიშნეს ჭაბუკ კომუნართა ორგანიზაციის ფიზიკურ-სპორტიული, კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა და აგრეთვე ამ ორგანიზაციათა სოციალური ღირებულებაც. სესიამ დაადგინა, გააძლიეროს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საამისოთ საორგანიზაციო კომისია და მისცეს მას ნივთიერი სამსახურიც.

სესიამ გაითვალისწინა მიწისძვრისაგან იაპონიისთვის მიყენებული უბედურება და პრეზიდიუმს დაავალა მოაწყოს სომხეთის მშრომელი ხალხის დახმარება იაპონიის მშრომელთათვის და მოწოდებით მიჰმართოს ამ საგნის შესახებ მოსახლეობას.

დახმარება იაპონიის პროლეტარიატს.

გუმბრი. 21 სექტემბერი. გუმბრის გაზ. „ბანვორ"-ის („მუშა") რედაქციამ ხელის მოწერა გამართა მიწისძვრისაგან დაზარალებულ იაპონიის მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. რედაქციამ საგანგებო მოწოდება გამოსცა.

სავალდებულო სწავლა.

ერევანი. 21 სექტემბერი. სავალდებულო სწავლის დადგენილებისა გამო, მასწავლებელთა ნაკლებობაა.

გუმბრის სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებამ ზომები მიიღო, რათა მასწავლებლები მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(25 სექტემბერი).

ჩერვონცები — — — 49,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ. 46,000
" ჩეკები — 42,200
დოლარები ეფექტ. — 9,950
" ჩეკები — 9,250
ოსმ. ქაღ. ლირა 6.300
იტალიური ლირა 320
ფრანგული ფრანკი 465
საბჭ. ფულის ნიშნები 16 ნახ.

მუშკოპის ფასები.

(25 სექტემბერი).

პური 1 ხარ. — 300-ათ.
პური 2 ხარ. — 180
შაქარი რაფინადი—2,475
ფხვნილი შაქარი—2090
ძროხის ხორცი—1 მილ.
ცხვრის ხორცი—1400 ათ.
ალდაშის ბრინჯი—535
მაკარონი —780
კართოფილი —100

ტფილისის ბაზრის ფასები.

(25 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—350—400
პური 2 ხარ. გირ. 200
ძროხის ხორცი — 1100
ცხვრის ხორცი — 1500
ბრინჯი გირ. — 600
მაკარონი — 800
კართოფილი — 125 —150
შაქარი — რაფ. — 2450—2600
ფხვნილი შაქარი — 2200

ბირჟის მიწოდება:

(25 სექტემბერს)

საწერი ქაღალდი. კარტონი. კანაფი და თოკი. სკიპიდარი. ტომრები. ფხვნილი შაქარი რუს. ფანერა მუხისა, კაკლისა და სხვ. ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. მატყლი. სალებავები. რკინეულობა. საზღვარგარეთის ფეხსაცმელი. მზესუმზირას ზეთი. რუსეთის ქაღ. ფართლეულობა. ფანჯრების მინა. ბოთლები. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი 1 ხარ. „პეტუხ". ცემენტი და ეტერნიტი. მარილი ნახიჩევანის. კანიფოლი.

ოფიციალური გარიგებანი.

(25 სექტემბერს)

პორტლანდის ცემენტი 13 მან. 25 კაპ. ჩერვ. ბოჭკაზე ფრანკო—ბათომი. თევზის ზეთი 11 მან. 50 კ. ფუთი, ფრანკო—ბათომი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(25 სექტ.)

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება 25 სექტემბერს საერთოდ მტკიცეა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(25 სექტ.)

ჩერვონცების, უცხო ვალიუტის, აგრეთვე საბჭ. ფულის ნიშნების კურსი თანდათან მატულობს.

სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილების გახსნისათვის ტფილისში.

(კანტორის მმართველ ამხ. ბატუევთან საუბრიდან).

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილება. განყოფილების შტატი სდგება ადგილობრივ მუშაკებისაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ ყოველგვარ მოთხოვნილებას საბანკო ტეხნიკის და საქმის ცოდნის მხრივ და რომელნიც დაკავშირებულნი არიან მხარესთან. მმართველის ამხანაგს დაასახელებენ ადგილობრივი კოოპერატიული წრეები და დაამტკიცებს სრულიად რუსეთის ბანკის სამმართველო. მუშაობა იწარმოებს ამიერ-კავკასიის მასშტაბით გარდა აზერბეიჯანისა, სადაც არსებობს ხსენებულ ბანკის ბაქოს განყოფილება. განყოფილება აწარმოებს ბანკის წესდებით ნებადართულ ყველა ოპერაციებს.

განყოფილების მოქმედების ადგილებთან დასაახლოვებლად, განზრახულია ახლო მომავალში გაიხსნას საააგენტოები პირველ რიგში ერევანსა, სოხუმსა და ბათომში. სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილება ემსახურება ყველა კოოპერაციებს.

კრედიტების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო ამა თუ იმ კოოპერატიულ ორგანიზაციის საერთო ეკონომიურ კეთილდღეობაზე, არამედ უკანასკნელთა მიერ სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის პაიების რიცხვის შეძენაზე.

კრედიტების სისწორით მოსაწესრიგებლად განყოფილებასთან იხსნება საალრიცხვო კომიტეტი ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობით

საქართველოს კოოპერატიულ ბანკთან ურთიერთობა დამყარებული იქნება საურთიერთო თანამშრომლობაზე, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი კი უფრო მეტად იქნება დაინტერესებული ამიერ-კავკასიის საკავშირო კოოპერატიულ ორგანიზაციების და აგრეთვე იმ პირველად კოოპერატიულ ორგანიზაციების სვებედით, რომელთა მოთხოვნილებებს სავსებით ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილება მოთავსებული იქნება ტფილისის ყოფ. საურთიერთო საკრედიტო 2-ე საზოგადოების შენობაში.

ტფილისში სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილების გახსნა, რომელიც არის არსებითად ს. რ. ს. კავშირის საკოოპერაციო ბანკი, უნდა ჩაითვალოს დიდ მოვლენად ამიერ-კავკასიის სამეურნეო და კოოპერატიულ ცხოვრებაში.

სახელმწიფო ღვინის ტრესტში.

აგვისტოს განმავლობაში წარმოება იყო ლუდისა და სახამებლის ქარხნებში. დანარჩენ წარმოებებში, ზაფხულის გამო, მუშაობა არა ყოფილა. პირველ და მეორე სარექტიფიკაციო ქარხნებში (ტფილისში) მხოლოდ გადალებ-გადმოღება და ჩამოსხმა სწარმოებდა კონიაკისა, არყისა და სპირტისა.

ხსენებული თვის გასულს ყველა ზემოხსენებულ წარმოებებში იყო სულ 135 მუშა-მოსამსახურე.

აგვისტოში დაუმზადებიათ 1,266 ვედრო ლუდი, ჩამოუსხავთ კონიაკი 680°, არაყი-7658° და სპირტი—21500°. ტრესტს დიდძალი მარაგი აქვს ფაბრიკატებისა, რის გამოც მსყიდველებს შეუძლიათ უშუალოდ მიიღონ მოთხოვნილი საქონელი. ტრესტს მოლაპარაკება აქვს გამართული კონიაკის დიდი პარტიის გაყიდვის შესახებ. საანგარიშო თვეში გაცემულია ცენტ. ტფილ. გამგეობის სახელმწიფო დაწესებულებებზე და კერძო პირებზე სულ 87 ვედრო კონიაკი, 94 ვედრო არაყი, 577 ვედრო სპირტი და 161 ვედრო ლუდი სულ 15638 მან. (ჩერვ.).

ტრესტი ამზადებს 135 ვაგონ სიმინდს, 15 ვაგონს ქერს გორში, 70 ვაგონ სიმინდს აბასთუმანს. აგრეთვე 1 მილიონ გრადუს კონიაკის სპირტს სომხეთში და 5 მილიონ გრადუს არაყს (ჭაჭისა) კახეთში.

ტრესტის ერთადერთს შემოსავალს შეადგენს სპირტისა და ლუდის გაყიდვა. თუ ტრესტს გარეშე დახმარება არ გაეწია, იგი ვერ შესძლებს სპირტის დამზადების დაწყებას.

ტყავეულობის წარმოება.

საქართველოს ტყავეულობის მრეწველობა აერთიანებს შემდეგ წარმოებებს: ტყავის ქარხანას № 1, რომელიც შესდგება რამოდენიმე წარმოებიდან—ელექტრონის სადგურის ფეხსაცმელის და ჯილის ფაბრიკებისაგან მატყლის სარეცხავი განყოფილების, ტყავის ქარხანას № 3 და რჩეულ ფეხსაცმელების სახელოსნოს. ხუთ საწარმოვო დაწესებულებაში აგვისტოს განმავლობაში მუშაობდა სულ 337 კაცი, რომელთაგან საწარმოვო მუშა—273 კაცი, არა საწარმოვო—41 და მოსამსახურე—23.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების გამო მუშა-მოსამსახურეების სამუშავო ხელფასი აგვისტოსათვის სგრძნობლად გადიდდა: მუშის საშუალო ხელფასი დღიურათ უდრის 80 კაპ., ხოლო მოსამსახურის—1 მ., 08 კაპეიკამდე.

ხუთმა საწარმოვო დაწესებულებამ აგვისტოს განმავლობაში დაამუშავა საქონელი 62,792 მ., ღირებულების, 11,675 მან. მეტი ვინემ წინა თვეში. ამავე დროს უფრო მეტი შემოსავალი იყო ფეხსაცმელის ფაბრიკაში (39 პროც.) და ტყავის ქარხანაში № 1. (38 პროც.).

ტყავის ორ ქარხანაში ამ თვის განმავლობაში დამზადებულია 1073 დიდი და 1,136 წვრილი ტყავი.

აგვისტოს განმავლობაში წარმოებას მოახმარეს მსხვილფეხა საქონლის ტყავი 1250 ცალი, რაც შეადგენს სულ 46 პროც. არსებული მარაგის—2.718 ცალ. საერთოდ ტყავის ორ ქარხანას არ აქვს საკმაო მასალა, რაც აიხსნება მით, რომ ტფილისის ნედლი მასალის ბაზარზე არ მოიპოვება საკმაო საქონელი ტყავის ქარხნებისათვის. ხოლო რადგანაც მოთხოვნილება ტყავეულობის ნაწარმოებზე სჭარბობს მიწოდებას, ტყავეულობის მთავარი სამმართველო ღებულობს ზომებს, რათა ქარხნებისათვის მასალების მიწოდების და ნაწარმოების დამზადების საქმე გაუმჯობესებული იქნეს თავის ნაწარმოებთა რეალიზაციისათვის ტყავეულობის მთავარ სამმართველოს აქვს ორი მაღაზია—საბითუმო და საწვრიმალო; გაყიდვა ხდება აგრეთვე ცენტრალურ საწყობიდანაც. აგვისტოს განმავლობაში მაღაზიებიდან და ცენტრალურ საწყობიდან გაყიდული იყო სულ 52,800 მან. ღირებულების; აქედან კერძო პირებზე გაიყიდა 92,8 პროც.

აგვისტომდე დამზადებულ ნაწარმოებთა ბაზარზე არსებობდა მეტოქეობა სრულიად—რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის მხრივ, მაგრამ ჩვენი ნაწარმოების უკეთესი თვისების და შედარებით სიიაფის გამო სწრაფად იქნა განდევნილი ტყავეულობის სინდიკატი და აგვისტოს შუა რიცხვებში ის შეუდგა თავის სავაჭრო საქმეების ლიკვიდაციას ტფილისში.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ტყავეულობის მიწოდების საქმე, ტყავეულობის მთავარი სამმართველო ამჟამად ეწევა მოლაპარაკებას სომხეთთან წვრილი ტყავების შესყიდვის შესახებ; აგრეთვე მოლაპარაკება სწარმოებს ტყავეულობის სინდიკატთან 1000 ცალი ამერიკული ტყავის შესყიდვის შესახებ; ამას გარდა გრძელდება ტყავეულობის დამზადება ჩრდილოეთ კავკასიაში.

საქართველოს სატყეო მრეწველობა

საქართველოს სატყეო ტრესტი აერთიანებს 23 წარმოებას, რომელთაგან ამუშავებულია 17, არ მოქმედებს 5 და იჯარით არის გაცემული 1. 17 მომუშავე წარმოებიდან ტფილისშია ორი: სახერხი ქარხანა № 3 და გაერთიანებული წარმოება—გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და ხის დასამუშავებელი სახელოსნო, ხოლო პროვინციებში—15, რომელთაგან 8 სახერხი ქარხანა და 7 ხე-ტყის დასამზადებელი რაიონი.

ტფილისის წარმოებებში და ცენტრალურ სამმართველოში აგვისტოში იყო 144 მუშა-მოსამსახურე; ადგილობრივ ქარხნებში და ხე-ტყის დასამზადებელ რაიონებში სულ იყო ივლისში (აგვისტოსთვის არ არის ცნობები მიღებული) 139 კაცი.

ტფილისის გაერთიანებულ წარმოებათა პროდუქცია აგვისტოსათვის გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

დამზადებულია გამოსაშვებათ სხვადასხვა გვარი ავეჯი სულ 444 საგანი. გაერთიანებულ წარმოებათა პროდუქცია არ განსხვავდება წინანდელი თვის პროდუქციიდან და უდრის საწარმოვო გეგმის 100 პროცენტს. ზემოთ აღნიშნული რაოდენობის ნივთების დასამზადებლათ დაიხარჯა ნედლი მასალა—1148 კვ. ვერშოკი, ანუ არსებული მარაგის 55 პროცენტი.

ტფილისის სახერხ ქარხანაში № 3 აგვისტოში მომზადებულია დახერხილი მასალა 12,227 კვ. ვერ., რისთვისაც დაიხარჯა ნედლი მასალა—მორი 12960 კვ. ფუტ., ანუ არსებული მასალის 42 პროცენტი.

პროვინციის სამ სახერხ ქარხანაში (ფოთის № 1, წაბლარისხევის და ქუთაისის), რომლებიც მუშაობდენ ივლისში, დახერხილია ხე-ტყის მასალა 17744 კვ. ვერშოკი, რისთვისაც დაიხარჯა მორი 20940 კვ. ფ. ანუ მთელი მარაგის 45 პროცენტი.

7 ხე-ტყის დასამზადებელ რაიონში, სადაც მუშაობდა 56 კაცი, ივლისში დამზადებულია სხვადასხვაგვარი ხეტყის მასალა 19460 მ. (ჩერვონ) ღირებულების.

დასამზადებელ რაიონების მუშაობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში

	დამზ.	მოტანილია
მორი	14529 კვ. ფ.	27003 კ. ფ
გათლ. ხე	945 კ. მ.	—
შპალი	2415 ცალი	2995
შეშა	150 კუბ საჟ.	151

აქ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მუშაობა უმეტესათ გაწეულია ფოთის, ხაშურ-შორაპნის და აწყურის რაიონებში, დანარჩენი რაიონები არ მუშაობდენ.

წარმოებებს სავსებით აკმაყოფილებენ ნედლი მასალით დასამზადებელი რაიონები, ხოლო ტფილისის სახერხ ქარხნის მასალის მორები აწყურის რაიონიდან ტივებით მტკვარის საშუალებით.

აგვისტოს განმავლობაში ტფილისის გაერთიანებულ წარმოებების მიერ განაღდებულია და გაგზავნა დამზადებული ნაწარმოები ხე-ტყის მასალები ტრესტის საკუთარ წარმოებებს სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვადასხვა გვარი ავეჯი—665. ტფილისის სახერხი ქარხნების № 3 მიერ განაღდებულია დახერხილი მასალა—10835 კვ. ვერ. პროვინციის სახერხი ქარხნების მიერ გამოშვებულია დახერხილი მასალა 27245 კვ. ვერ; ხეტყის დასამზადებელ რაიონების მიერ (მორები, შპალები შეშა და სხვ.)—სხვადასხვაგვარი ხე-ტყის მასალა 19547 მ. ღირებულების. ადგილობრივ ბაზარზე ტრესტის წარმოებების პროდუქციებს დიდ მეტოქეობას უწევს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სატყეო განყოფილება, რომელიც დამოუკიდებლათ ახდენს დამზადებას, ხოლო უცხოეთის ბაზარზე—სპარსეთი და რუსეთის ტრესტები, რომელთაც გამოაქვთ ხე-ტყის მასალები დიდი პარტიობით, უკეთესი ხარისხის და იაფად. ამიტომ ტრესტი ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს და გააიაფოს თავის წარმოებათა ნაწარმოები.

ტფილისის ალმასკომის მუშაობა განაპირა უბნებში

ტფილისის განაპირა უბნების მოუწყობლობის შესახებ ხშირად იწერება გაზეთებში.

— არ ვარგა განათება, არაა წყალი, ცუდია, დანგრეულია ქუჩები და სხვა.

განაპირა უბნებში არაა მესადი იმ კეთილ-მოწყობილობისა და სიმშვენიერის, რასაც ადგილი აქვს ცენტრში, და ეს გასაგებიც არის.

ათეული წლების განმავლობაში, სოლოლაკში მოკალათებული ბურჟუაზია ამშვენიერებდა მხოლოდ სოლოლაკს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. რაც შეეხება განაპირა უბნებს, მათ შესახებ არავინ იტეხდა თავს. ან ვის ენაღვლებოდა განაპირა უბნები. იქ ხომ მუშები ცხოვრობდენ, და რათ შეიწუხებდა თავს მუშებისთვის სოლოლაკელი ბურჟუაზია?

მაშინ, როცა ქალაქის ძველ ცენზიან საბჭოში თითოეული ღიპიანი „ქალაქის მამა" მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ მისი სახლის წინ განათებია და მოეკირწყლა ქუჩა, მუშების წარმომადგენლები საბჭოში და საზოგადოებაში ხშირად გამოდიოდენ პროტესტით, მოითხოვდნენ მეტი ყურადღების მიქცევას განაპირა ქუჩებისთვის, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მაგრამ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, ცხადია, მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო და კიდევაც შეიცვალა.

ჯერ ერთი, რომ თვით სოლოლაკი და საერთოდ ქალაქის ცენტრი აღარ დარჩა ბურჟუაზიის კუთვნილებად.

დიდი ნაწილი სოლოლაკში მოკალათებული ბურჟუაზიისა საბჭოთა ხელისუფლებამ გადაიყვანა განაპირა უბნებში, და ცენტრში სრულიად სამართლიანად მოათავსა მუშები, მოსამსახურეები და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასარგებლო ელემენტები. დაახლოვებით 10 პროცენტამდე მუშები გადმოყვანილ იქნენ ქალაქის საუკეთესო ნაწილებში. ამ დღეებში კიდევ გადაეცა პროფკავშირებს 100-ე სახლი მუშების მოსათავსებლად.

მაგრამ უნდა ითქვას, განაპირა უბნებიდან ძნელია ყველა მუშა-მოსამსახურეთა გამოდყვანა: ზოგი მუშები ისე მიჯაჭვულნი არიან წარმოებებთან და დაწესებულებებთან, რომ მათი ცენტრში გადმოყვანა იქნებოდა მათი სურვილის წინააღმდეგ, და ცხადია, დასჯა მათი. განაპირა უბნებიდან 10—15 პროც. მუშების გადმოყვანა ქალაქის საუკეთესო ნაწილში, ცხადია, უნდა ჩაითვალოს განაპირა უბნებში წინეთ მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებად.

თვით განაპირა უბნებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ძალიან დიდი ყურადღება, ათეული წლების განმავლობაში უყურადღებოდ დატოვებული უბნები საჭიროებდნენ დიდ მზრუნველობას, დიდი ენერგიის დახარჯვას.

და, სიმართლე უნდა ითქვას, საბჭოთა ხელისუფლება შეძლებისდაგვარად აქცევს სერიოზულ ყურადღებას განაპირა უბნებს, მაგრამ საჭიროა ათეული წლები, მეტად დიდი ენერგია და სახსარი, რომ ქალაქის ეს ჩამორჩენილი ნაწილი რაიმეს დაემსგავსოს.

ქალაქის გამშვენიერების საქმეს ამ უკანასკნელ წლებში და თვეებში რომ გაუკეთდეს ჯამი, ყველასათვის აშკარა იქნება, რომ 80 პროც. ამ სამუშაოებისა მოდის სწორედ განაპირა უბნებზე.

რომ შორს არ წავიდეთ, ვნახოთ რა გაკეთდა ამ უკანასკნელი 7—8 თვის განმავლობაში.

1. სუნჯენის ხრამს გაუკეთდა ცოცხალი ღობე, იმ მიზნით, რომ გადარჩეს ეს უბანი წყალდიდობის დროს მოტანილ ნალეკიდან.
2. გაკეთდა ვერის საცალფეხო გზა.
3. გაკეთდა ვერა-დიდუბის ბორანი.
4. სწარმოებს ნაძალადევის დაგეგმვა და ქუჩების შეკეთება ამ უბანში.

რემონტი უნდა დამთავრდეს ზამთრამდე.

5. სწარმოებს ქუჩების მოკირწყვლა 1 და 9 უბნებში. სულ უნდა იქნეს მოკირწყლული 22 ათასი კვ. საჟენი ქუჩა.
6. გაკეთდა საყარაულო პოსტი ცეცხლის მქრობელი რაზმის მე-7 უბ.
7. კეთდება ავლაბრის მე-2 ხიდი.
8. სწარმოებს მუშაობა სინათლის გასაყვანათ ნაძალადევში. ამ დღეებში შეძენილი იქნა საჭირო რაოდენობა ბოძების.
9. შეძენილია 120 ძალიანი დიზელი, ეხლა კიდევ ყიდულობს ალმასკომი 500 ძალიან დიზელს, რომელიც მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ განაპირა უბნების განათებას.
10. შეკეთებულია წყლის მილები, რომ შესაძლებელი იქნეს გაყვანა ახალი მილების და გამოცვლა ნაწილობრივ ძველი მილების.
11. გაყვანილია ტრამვაის ხაზი ნავთლუღში სასაკლაომდე.
12. ამ უკანასკნელ თვეებში განაპირა უბნებში მოკირწყლული და შეკეთებული იქნა შემდეგი ქუჩები:

კობის ქ.	75 კვ. საჟ.
ვერის ქ.	56 კვ. საჟ.
ღვთის მეტყველის ქ.	55 კვ. საჟ.
პეროვსკის (ყ. ანასტასიას) ქ.	35 კვ.ს.
სატივეს ქ.	143 კვ. საჟ.
ლენინის ქ.	265 კვ. საჟ.
ნატანების (ახალი ქუჩა)	400 კვ. ს.
საბჭოთა ქ. (ყ. ჩერქეზ.)	57 კვ. ს.
ს უ ლ	1086 კვ. საჟ.

აი მოკლეთ, თუ რა გაკეთებულა ამ უკანასკნელ თვეებში მხოლოდ ქალაქის განაპირა უბნებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ალმასკომის მდგომარეობა ამ მხრით მეტად კრიტიკულია.

განაპირა უბნების სრული აღორძინებისათვის საჭიროა მილიონები ოქროთი. ამის შესაძლებლობა დღეს, რასაკვირველია, ალმასკომს არა აქვს. ეს საქმე უნდა გაკეთდეს ნელ-ნელა, მეთოდიური ნაბიჯით. ის, რაც ათეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებია ცენზიან საბჭოს, ეხლა უნდა გააკეთოს საბჭოთა ხელისუფლებამ განაპირა უბნებში.

დღეს ალმასკომი აძლევს განაპირა უბნებს თვეში დაახლოვებით 3,500 კილოვატ საათ. ელექტრ. ენერგიას, და 4,200 ათას ვედრო წყალს, რასაკვირველია, ეს არა საყოფი.

მაგრამ საერთოდ უზრუნველყოფა მცხოვრებთა ელექტრონით და წყლით შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა დამთავრდება ზემოავჭალის ჰიდროელექტრონული სადგური, რომელიც მოგვცემს იაფი ენერგიის მეტად დიდ რაოდენობას (36,200 ცხენის ძალას).

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მეტად უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ქალაქის წარმოებები.

მაგალ., წყლის მილები იმდენად დაზიანებულია, რომ 25—30 პროც. წყალსადენის მიერ მოწოდებული წყლისა სრულიად იკარგება გზაში.

საჭიროა დიდი ენერგია, დიდი მუშაობა, რომ ეს საქმე მოგვარდეს და წყალსადენს ექნეს შესაფერი მილები. საჭიროა დიდი თანხა და მუშაობა, რომ ქალაქის წარმოებები სრულიად აღდგენილ იქნენ. ამ მხრით არც მუშაობა სწარმოებს.

განაპირა უბნებს არ ყოფნის აგრეთვე მილიცია. ეს საქმეც უნდა მოგვარდეს. საერთოდ, მილიცია არაა საყოფი მთელ ქალაქშიაც. მიზეზი ამისა არის შემოკლება შტატების, რაც საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით მოხდა.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, განაპირა უბნები მაინც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მშვიდობიანობის დამცველებით. ეს საკითხიც დგას ჩვენს დღის წესრიგში და აუცილებლათ გადაწყდება განაპირა უბნების ინტერესების მიხედვით.

ტფ. ალმასკომის პრეზიდიუმი.

„ახალგაზრდა მარქსისტების" ჯგუფის

161

მოწოდება

ბათომის ოლქის ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი

ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო! ეგრედ წოდებული „დემოკრატია" დღეს უკვე ჩიხში მომწყვდეული, ერთხელ კიდევ უკანასკნელად ადასტურებს თავის არარაობას. პარლამენტარული გზა, და დოქტრინალური, ერთხელ და სამუდამოთ იხდის მასკას და მშრომელი ხალხი დგება ფაქტის წინაშე.

რუსეთის და კერძოთ საქართველოს „დემოკრატიზმის" ხელმძღვანელების ნაწილი, რომელიც ვერ იკისრებდა ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას, ღრმა ანალიზის შემდეგ მივიდა ლოღიკურ დასკვნამდე: რევოლიუციონური მარქსიზმის, რევოლიუციონური ბუნება მოითხოვს შესაფერ ნაბიჯს,—პროლეტარულ დიქტატურას, რაც სინამდვილემ სავსებით გაამართლა.

იმ დროს, როდესაც, ჩვენი, მოწინავე რევოლიუციის ტალღებში გამობრძმედილი უფროსი ამხანაგები, სტოვებენ ძველ ხავს მოდებულ გზას და ირაზმებიან პროლეტარულ რიგებში, ჩვენი რევოლიუციონური სინიდისი არ გვაძლევს ნებას ხელდაკრეფილი ვუცქიროთ ამ დიად პროცესს.

ამხანაგებო! ახალგაზრდობა ეს მომავალის იმედია, ჩვენი მარქსისტული ახალგაზრდობა კი მშრომელთა სიამაყეა. მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, სხვადასხვა მიზეზების გამო, სრულებით ჩამოვშორდით მის ინტერესებს. რუსეთის დიდი რევოლიუციის გაკვეთილებმა სხვა რელიეფიურათ ასახული გზები დაგვანახვა სოციალიზმისაკენ. ძნელი გახთა ბრძოლაში, რევოლიუციის ქარტეხილში, სწორი გზის გარჩევა და ჩვენც საუბედუროდ ჩავიძირეთ ოპორტიუნიზმის ჭაობში. როდესაც რევოლიუცია მოითხოვდა ჩვენგან შეთანხმებულ მოქმედებას დარაზმულ მტრების წინააღმდეგ, მაშინ ზურგი ვაქციეთ პროლეტარიატს და მხარი მივეცით მის მტრებს.

დღეს კი საჭიროა ჩვენი გონებრივი გამოფხიზლება და გაჯანსაღება. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენმა უფროსმა ამხანაგებმა, საამისოდ უკვე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს. და კიდეც გაისმის გამოფხიზლებულ ახალგაზრდობის გამოძახილი საქართველოს ყოველ კუთხეებიდან. ჯერი დღეს ჩვენზე მიდგა და ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ გავამართლებთ ჩვენზედვე დამყარებულ მშრომელთა ინტერესებს.

ამხანაგებო! ისტორიულმა აუცილებლობამ დაგვანახვა დემოკრატიზმის, როგორც მმართველობის ფორმის, სრული შეუსაბამობა პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით. მე-2 ე ინტერნაციონალის ოპორტიუნიზმმა, გაურკვევლობამ და სიბეცემ, რომლითაც ის ფიქრობდა სოციალიზმის განხორციელებას დემოკრატიზმის გზით, ხელი შეუწყო, ნიადაგი მოუმზადა ერთა შორის შურსა და მტრობას, ბურჟუაზიის გამაგრებას ბრძოლა მე-3-ე გააძლიერა ინტერნაციონაციონალის წინააღმდეგ რომელიც ერთად-ერთია თავდები, საერთაშორისო პროლეტარიატის კეთილდღეობისა.

დიად ამხანაგებო! უკვე კვლავ მოგვიწოდებს რევოლიუციონური ზარის გუგუნი, დღეს მაინც უნდა უარვყოთ ფანატიზმი, რომლითაც—ამდენ ხანს ვიყავით გატაცებული. ჩვენი ვალია ერთად დავირაზმოთ მტრის წინააღმდეგ ახალგაზრდა კომკავშირთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნით მე-3-ე ინტერნაციონალის კომუნისტურ დროშის ქვეშ.

ძირს ფაშიზმი! ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს ერთიან ფრონტს.

გაუმარჯოს მე-3-ე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად მიზანს სოციალიზმს!.

ახალგაზრდა მარქსისტთა ბათომის საოლქო ყოფილ კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდ. **ვ. ჯაჯიეშვილი.**

მდივანი **გ. კომახიძე.**

წევრები:
1) **ბ. გამსახურდია.**
2) **ვ. დოლიძე.**
3) **დ. მირიანაშვილი.**

სრულიად საქართველოს ბეითალთა პირველი ყრილობა

კვირას, 23 სექტემბერს პროფკავშირების მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ბეითალთა პირველი ყრილობა.

ყრილობაზე გამოცხადდა 27 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 8 სათათბირო ხმით. ყრილობაზე წარმოდგენილია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ექვსი მაზრა: არ გამოცხადებულან დელეგატები აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან და აჭარისტანიდან.

12 საათზე ამხ. გოგიბერიძემ ყრილობა გახსნილად გამოაცხადა და მოკლე სიტყვით გააცნო დელეგატებს ყრილობის დანიშნულება. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს პირველი ყრილობაა, რომელსაც მრავალ საჭირ-ბოროტო და მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა ევალება.

პრეზიდიუმის არჩევა.

ყრილობა. ერთხმად ირჩევს პრეზიდიუმის შემდეგ შემადგენლობას: 1) გოგიბერიძე, 2) ახმეტელი, 3) შენგელია, 4) ბურჯანაძე, 5) მახათაძე, 6) ტოპოლსკი, 7) ეკიზოვი, 8) თევზიევი, 9) პაუტკინი.

სამანდატო კომისიაში არჩეული არიან: 1) მასხარაშვილი, 2) დობსიცინი, 3) კობილაშვილი.

მისალმებანი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობას ესალმებიან შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: სავეტერინარო-საექიმო დარგის მუშაკთა კავშირის, ჯანმრთელობის სახ. კომის. მიწად სახ. კომის., აფთიაქის მუშაკთა სექციის, კბილის ექიმთა სექციის, კავკასიის ცალკე არმიის ვეტ-განყოფილების და სხვა.

ყრილობამ გადასწყვიტა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს სახ. კომ. საბჭოს და ამხ. ლენინს. ტექსტის შედგენა დაევალა პრეზიდიუმს.

დღის წესრიგი:

ყრილობას განსახილველი და გადასაწყვეტი აქვს შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მომენტი, 2) ანგარიშები ტფილისის ვეტ-სექციის, საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის ცენტრ.-გამგეობის. 3) ვეტ-სანიტ. განყოფილების მუშაობის ანგარიშები და მომავალი მუშაობის გეგმა, თანამოხსენებანი: ტაბახმელას ჭირის საწინაალმდეგო სადგურის და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის, 4) მოხსენებანი ადგილებიდან, 5) საორგანიზაციო საკითხი, 6) შრომის დაცვა და სოც.-დაზღვევა, 7) სატარიფო საკითხი, 8) არჩევნები ვეტ-სექციის ცენტრ. ბიუროში, 9) მიმდინარე საკითხები.

მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

ინფორმაციული ხასიათის მოხსენებას მიმდინარე მომენტზე აკეთებს ამხ. მიხაილოვი და ტოპოლსკი. მოხსენების მიხედვით რეზოლიუციის შედგენა დაევალა პრეზიდიუმს.

მეორე სხდომა.

მეორე სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბურჯანაძემ ვეტერინალურ სექციის ბიუროს მოქმედების შესახებ. მომხსენებელი ვრცლად ახასიათებს იმ მძიმე მუშაობას, რომელსაც ბიურო აწარმოებდა მთელი საქართველოს მასშტაბით 1921 წლიდან 923 წლის სექტემბრამდე. ეს წლები ხასიათდება როგორც საქონლის გადამდებ ავადმყოფობათა (ეპიზოტია) გავრცელების დრო. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ვრცელდებოდა სხვა და სხვა ეპიზოოტიური სნეულებანი და ბიურო შეძლებისდაგვარად ებრძოდა ამ ავადმყოფობათ საქ. ყოველ მაზრაში, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ამავე საკითხზე თანამოხსენებლად გამოვიდენ ამხ. ახმეტელი და ბასილაია. პირველი ამხანაგი საკმაო ვრცელს მოხსენებას აკეთებს საქ. მიწ. სახ. კომ. ვეტერინარულ სანიტარულ განყოფილების მოქმედების შესახებ ამავე პერიოდში.

ამხ. ბასილაია იძლევა ცნობებს ტაბახმელის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელ მუშაობის შესახებ. სადგურს ამ ხნის განმავლობაში ეპიზოოტის გავრცელების გამო უწარმოებია მეტად ინტენსიური მუშაობა მაზრებისათვის შრატის მიწოდების უზრუნველსაყოფად

მეოთხე მოხსენებას ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელი მეთოდების შესახებ,—კითხულობს თევზიევი.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც სხდომის შეწყვეტამდე გაგრძელდა.

მესამე სხდომა.

მესამე სხდომა უმთავრესად შეეხებოდა ამხ. ამხ. ახმეტლის,—ბასილაიას და თევზიევის მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათს, რომელმაც მრავალი საჭირბოროტო საკითხი გამოარკვია. თეზისების და რეზოლიუციების მიღება მოხსენებათა მიხედვით გადაიდვა უკანასკნელ სხდომამდე.

ამავე სხდომაზე ამხ. პეტუხოვსკი იძლევა ცნობებს კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო-სავეტერინარო მუშაობის შესახებ ორი წლის განმავლობაში.

ამხ. პეტუხოვსკის მოხსენების შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. გოგიბერიძისგან წაკითხულს საქართვ. საექიმო სასანიტარო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის ანგარიშს.

ინფორმაციის და მოხსენებათა გარშემო იმართება კამათი და ავტორებს ეძლევათ შეკითხვები, რომელზედაც დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევიან.

სხდომის დასასრულს ყრილობა იღებს პრეზიდიუმის სარედაქციო კომისიისგან შემუშავებულ მისალმების დეპეშების ტექსტს ს. ს. რ. კ. სახ. კომის. საბჭოს და ამხ. ლენინის მიმართ სხდომა 9 საათზე იხურება.

პროფკავშირებში

პროფ-მოძრაობის შესასწავლი კურსები.

ქუთაისის სამაზრო პროფ-ბიურომ გადასწყვიტა მოაწყოს კურსები პროფ-მოძრაობის შესასწავლად ადგილკომებისა—ფაბ-კომებისათვის აქტიურ მუშაკთა მომზადების მიზნით. ამ ღონისძიებით სამაზრო პროფბიუროს სურს გააძლიეროს ადგილკომთა მუშაობა მაზრაში.

ბრძოლა უმუშევრობასთან.

უმუშევრობის სალიკვიდაციოთ ქუთაისის პროფ - ბიურომ მოაწყო „მშრომელთა არტელი" სხვა და სხვა საზოგადო ხასიათის მუშაობის საწარმოებლად. პირველ ხანებში არტელი სუსტი იყო, მაგრამ შემდეგში, სხვა და სხვა დაწესებულებათა დახმარებით, არტელმა გამაგრდა და ამჟამად აერთიანებს 171 მუშას. ამ არტელის მოწყობით რამოდენიმედ შემცირდა უმუშევართა რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშათა წერილებს ეკუთვნის მეტი ყურადღება

ყველა ადგილობრივ გაზეთებში ბევრი რამ იწერება ჩვენთვის საყურადღებო და საინტერესო მუშა-კორესპონდენტების მიერ. ამხ. მუშკორები თავის მოკლე წერილებში იძლევიან ფრიად მნიშვნელოვან და შინაარსიან მასალებს მუშათა ყოფა-ცხოვრებიდან და საბჭოთა აღმშენებლობაზე. ისინი მკაცრად ჰკიცხავენ იმ დაუშვებელ დეფექტებს და არა სასურველ მოვლენებს, რომელთაც აქვთ ადგილი ნებით თუ უნებლიეთ საბჭოთა დაწესებულებებში. ვინც კარგად აკვირდება დ სისტემატიურად კითხულობს ჩვენი მუშების პატარა შენიშვნებს, ის ადვილად დაინახავს იმას, თუ რა აწუხებს მუშას, თუ როგორ მიმდინარეობს წარმოება ამა თუ იმ საბჭოთა დაწესებულებაში, თუ რა განწყობილება არსებობს თვით ჩვენ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის, თუ რა სიმაღლეზე დგას კულტმუშაობა მუშებში და სხვა. ყოველივე ეს წარმოადგენს მეტად საგულისხმო და ყურადსაღებ მასალას როგორც საბჭოთა კანონმდებლობის, ისე საბჭოთა აღმშენებლობისათვის, და ამის და მიხედვით საშუალებასაც გვაძლევს გამოიცეს სათანადო კანონები და მიღებულ იქნას მიზანშეწონილი, უტყუარი ზომები ყველა იმ დაუშვებელ დეფექტების მოსასპობად, რომელზედაც გულწრფელად მიგვითითებენ ჩვენი მუშები.

მიუხედავად ამისა, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ბევრი ჩვენი დაწესებულებები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ჩვენი მუშების წერილებს, ვითომც და ისინი მათ არ ეხებოდნენ და უმნიშვნელონიც იყვნენ. ამიტომ ჩვენ მუშკორებს ბევრჯერ უხდებათ განმეორება ერთი და იგივე წერილისა, მითითება ერთ და იგივე ფაქტზედ. ბევრჯერ მაინც ვერ აღწევენ, თავის მიზანს და წადილს, რის გამო ჩვენ მუშებს გული უტყდებათ და იმედები უცრუვდებათ ჩვენი პრესისადმი და ხშირად თავსაც ანებებენ მუშურ მწერლობას.

ეს მოვლენა, თავის თავად ცხადია, ყოვლად დაუშვებელია და მის მოსასპობად და მუშათა პრესის და მწერლობის პრესტიჟის ასამაღლებლად აუცილებლად საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება მუშათა წერილებს გაიხსნას ყველა კომისარიატებში და საბჭოთა დაწესებულებებში სპეციალური მაგიდა განსაკუთრებულ პასუხისმგებელ თანამშრომლით, როგორც ეს არის ამ.-კავ. რკინისგზის სამმართველოში, რომელსაც დაევალა მუშათა წერილებზე სათანადო პასუხის დაუყოვნებლივ მიცემა (თუ წერილები რომელიმე მათგანს ეხება) და სათანადო ზომების მიღება მუშა-მწერლების მიერ მითითებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად. ამას სრულიად სამართლიანად მოითხოვენ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მუშკორები და სხვებიც და საჭიროა გაეწოს ხელისუფლების და ჩვენი პარტიის მიერ ანგარიში ჩვენი მუშკორების ასეთ მიზანშეწონილ და კანონიერ მოთხოვნილებას. მუშა უფრო კარგად, უფრო მტკიცედ შეიყვარებს თავის პრესას, როდესაც ის დარწმუნდება, რომ მის წერილებსაც ანგარიშს უწევენ ჩვენი დაწესებულებები.

ჰ.

მუშათა პრესის ერთი ნაკლი

აქ მე მინდა ავღნიშნო ჩვენი პრესის ერთი დიდი ნაკლი. ეს ნაკლი გახლავთ მუშათა მასისთვის სანიტარული განათლების საკითხების გაუშუქებლობა. გასაოცარია ამ დროისთვის, მაგრამ ფაქტია ის, რომ იმ დროს, როდესაც მუშათა საკითხი საბჭოთა პრესის უმთავრეს თემას წარმოადგენს, როდესაც არ დარჩენილა მუშის ცხოვრების არც ერთი მხარე, არც საზოგადოებრივი და არც შინაური, არც კულტურული და არც ეკონომიური, რომ ის საკმაო გულდასმით არ იყოს შესწავლილი. სანიტარული განათლების, რომელიც გაცილებით მეტ მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს მუშათა ჯანმრთელობისათვის, ვიდრე რომელიმე სხვა, სრულებით არ ეთმობა ადგილი საბჭოთა პრესაში.

ამას საჭიროა ბოლო მოეღოს. მუშა ჩვენი ეკონომიკის საიმედო ფუძე არის და ის ჯანმრთელი უნდა იყოს. თუ მისი სხეული ჯანსაღი არის, მისი აზროვნებაც ნათელია და ასეთ საფუძველზე კი საუკეთესო იდეალების განხორციელება მისთვის ადვილი საქმე იქნება. აღნიშნული ნაკლი უსათუოდ უნდა გამოსწორდეს და სანიტარულ განათლების საკითხს ჩვენს პრესაში საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს.

მუშკორი ა. ნ.

ადგილკომი მაღლა უნდა

მრავალი თვეების შეწყვეტის შემდეგ ჯანმრთელობის კომისარიატში კვლავ განახლდა თანამშრომლებისათვის პურის დარიგება. ამის ღვაწლი სავსებით უნდა მიეწეროს ახლად ამორჩეულ ადგილკომს, რომელიც საზოგადოდ დიდ ენერგიას იჩენს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვაში. პური ჯდება მეტად იაფად,—117.000 მანეთი გირვანქა ჯამაგირიდან გამორიცხვით. მხოლოდ პური ცოტა მეტი შეავეა და, იმედია, ადგილკომი ამასაც გამოასწორებს.

მადლობის ღირსია აგრეთვე ადმინისტრაციაც, რომელმაც გაიღო სათანადო ავანსი და მით ხელი შეუწყო ადგილკომის ინიციატივას.

შემდეგი დიდი საკითხი—თანამშრომლების შეშით უზრუნველყოფაა. იმედია, აქაც ადგილკომი დარჩება თავის სიმაღლეზე.

მუშკორი ნიკო.

გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორებში

ამა წლის 23 სექტემბერს „კომუნისტის“ რედაქციის შენობაში შესდგა აღნიშნულ გაზეთის მუშკორთა მორიგი კრება.

დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება ამხ. კვარაცხელიასი საბჭოთა პრესის (მუშათა პრესის) შესახებ; 2) მუშკორთა ურთიერთ შორის დამხმარე კასის წესდების განხილვა, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. კვარაცხელიამ მოუწოდა მუშკორებს გაზეთის საშვალებით გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ ყველა მათ მიერ შემჩნეულ ნაკლულევანებაზე მითითებით.

შემდეგ განხილულ იქნა კომისიის მიერ წარმოდგენილი მუშკორთა ურთიერთშორის დამხმარე კასის წესდების პროექტი, რომელიც რამოდენიმე მუხლების შესწორებით დამტკიცებულ იქნა, შემდეგ ამისა კასის გამგეობაში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ. მუშკორ. იტრიევი, ნიკოლაიშვილი და ხეჩუაშვილი, კანდიდატათ ჩარიცხული. სარევიზიო კომისიაში—მჭედლიშვილი, ახალკაცი და პ. ბალიაშვილი, კანდ. მ. გველესიანი.

დასასრულს კრება მიმართავს „კომუნისტ“-ის რედაქციას შუამდგომლობით, რათა მან აღმოუჩინოს კასას მატერიალური დახმარება ყოველთვიური სუბსიდიის დანიშვნის სახით.

შემდეგ კრება გადადის მიმდინარე საკითხების განხილვაზე და ადგენს: 1) აღკვეთილ ექნეს გაზეთის გზავნა იმ მუშკორებს, რომელნიც არ წარმოადგენენ თვეში ოთხ წერილს მაინც; 2) მუშკორთა მიერ პრესაში გამოქვეყნებულ დეფექტების სალიკვიდაციოდ წარმოებებში და დაწესებულებებში დაწესებულ იქნეს სათანადო უფლებით მოსილი „მუშკორის მაგიდა“, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ხელს შეუწყობს გაზეთებში აღნიშნულ შენიშვნების ადგილობრივად ცხოვრებაში გატარებას. 3) პრინციპიალურად მიღებულ იქნეს პროექტი მუშკორთა საკუთარი ყოველთვიური ჟურნალის „მუშკორი“-ს გამოცემის შესახებ „კომუნისტის“ დამატების სახით. 4) იმ მუშკორების შესახებ, რომელნიც სამჯერ ზედიზედ საპატიო მიზეზების გარეშე, არ დაესწრება კრებას, მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები, ვიდრე მუშკორთა კორპორაციიდან გამორიცხვამდე.

მუშკორი ნ.—შვილი.

ტფილისის მთავარი სახელოსნოები

თვალსაჩინო სურათი სახელოსნოს მოღვაწეობის გამოსარკვევად შეიძლება მივიღოთ შედარებითი დახასიათებით სახელოსნოს მოღვაწეობისა 1912 წელში და ახლა.

1913 წელში იყო გამოშვებული კაპიტალურ შეკეთებიდან 70 ორთქლმავალი ე. ი. 5,8 ორთქმავალი თვეში და თუ გადატანილი იქნება საანგარიშო ერთეულად მაშინ,—კი 17 4-დის.

ვაგონები გამოშვებულია სხვადასხვა სახის შეკეთებიდგან 5,600 სან. ერთეული თვეში—კი დაახლოვებით —466 სან. ერთეული.

სამჭედლო საქიდი 11,000 ფუთამდის თვეში და თუჯი და სპილენძის ჩამოსხმა—კი 7000 ფუთამდეს. ხელოსნების რიცხვი ამ წელში მიღწეულია თითქმის—1900 კაცამდე. მუშაობა სწარმოებდა ნარდად.

შემოღებულმა ნარდად მუშაობამ გაცემამ 1922 წლის ნახევარში იქონია არსებითი გავლენა სახელოსნოს წარმოებაზე. ამჟამად—რიცხვი შეკეთებიდან გამოშვებულ ორთქლმავლების საანგარიშო ერთეულებისა ირყევა—14 და 16-მდე, რაც შეადგენს 80—90 პროცენტს ომიანობის დაწყებამდე წარმოებასთან; ვაგონები—350—360 ე საანგარიშო ერთეულს, რაც შეადგენს 75—80 პროცენტს, სამჭედლო საქიდს უშვებს 1000 — 12000 ფუთამდის, რაც იძლევა სულ 100 პროცენტს. თუჯის და სპილენძის ჩამოსხმა უდრის 9,500 ფუთს ე. ი. უდრის 1913 წლის წარმოების 50—60 პროცენტს.

უნდა ითქვას, რომ არსებითი ცვლილებები სახელოსნოს მოწყობილებაში, შრომის ორგანიზაციაში და წარმოებაში 1913 წლის დაწყებიდან დღემდე არ მომხდარა და შეგვიძლია უდავოდ დავამტკიცოთ, რომ მთავარი სახელოსნო თავისი მოღვაწეობით დაუახლოვდა 1913 წლის სიმკვრივეს.

ამასთანავე, აუცილებლად საჭიროა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ნაჩვენებ წელში რიცხვი ხელოსნების შესამჩნევად აღემატებოდა არსებულ შტატს, გაგრძელება სამუშაო დღისა იყო მეტი და ამის გარდა შესამჩნევად ვრცელდებოდა ზედმეტი მუშაობა—რომელიც აღწევდა 20 პროცენტამდის. თუ შევეხებით შესაკეთებლად მდგომ მოძრავ შემადგენლობისათვის მასალების და მარაგი ნაწილების მიწოდების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ამჟამად მდგომარეობა სახელოსნოსი ამ მხრივ მეტად მოუგვარებელია, და ეს მაშინ, როდესაც იგივე სახელოსნო 1913 წელში უზრუნველყოფილი იყო ყოველგვარი საჭირო მასალებით და ნაწილებით. მასთან გაძარცული და დანგრეული ეხლანდელი ორთქლმავლები და ვაგონები თხოულობენ თავის აღსადგენად შესამჩნევ დამატებითი მუშის შრომის დახარჯვას, ვიდრე 1913 წელში.

ის შედარებითი მცირე მნიშვნელოვანი მიღწევა, რომლის განხორციელებაც მოხდა პრაქტიკულად რუსეთში სამეცნიერო შრომის და წარმოების ფარგლებში, დაჟინებით მოითხოვს მის ჩვენთანაც შემოღებას სახელოსნოში, რისთვისაც უკვე მიღებულია შესაფერისი ზომები.

ნ. რუხა-ძე

პროვინციაში

ქ. ფოთი

20 სექტემბერს დღის 12 საათზე ფოთის ქალაქის ბაღში გაიმართა მიტინგი—სამოქალაქო პანაშვიდი—ბაქოს 26 კომისარის ვერაგულად დახვრეტის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად.

მიტინგი გახსნა პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა, რომელმაც დაახასიათა, თუ რა პირობებში ხდებოდა მათი მუშაობა, ვინ იყვნენ ისინი და როგორ ვერაგულათ იქნენ ისინი დახოცილი კასპიის იქით მხარეში, უდაბნოში. შემდეგ ილაპარაკეს სხვა ორგანოების წარმომადგენლებმა. მიტინგის დახურვის წინ პარტკომის პასუხმგებელმა მდივანმა მოუწოდა ყველა ამხანაგებს წასულიყვნენ ნავთსადგურში დროშებით, სადაც უნდა გახსნილიყო ახლად გაკეთებული გემების სარემონტო სახელოსნო. მწყობრად, მუსიკით წინ 1 ნახევარ საათზე მივიდენ ნავთსადგურში და იქ, სადაც მენშევიკების და ნიკოლოზის დროს მხოლოდ ჭაობი იყო, ეხლა წარმოუდგათ მათ შემდეგი სანახაობა: აშენებულია უზარმაზარი შენობა, რომელსაც უჭირავს რამოდენიმე ასეული კვადრატი საჟენი. სახელოსნო შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან. სახელოსნოს აშენებაში დაცულია ყოველივე აუცილებელი ჰიგიენური პირობები: მაღალი კედლები, საკმაო სინათლე, სუფთა იატაკი და სხვა. განყოფილებებში დგას მანქანები, რომლებიც რამოდენიმე წამის განმავლობაში მოყვანილ იქნენ მოძრაობაში.

გარდა ადგილობრივი ამხანაგებისა, სახელოსნოს გახსნაზე ჩამოსულია საგანგებოდ თბილისიდან შემდეგი ამხანაგები: საქართველოს კომპარტიის ცეკას წარმომადგენელი ამხ. ცაბაძე, გზათა კომისარის მოადგილე ამხ. ბირონი, ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების უფროსი ამხ. ატაევი და სხვები. სრულ ორ საათზე ზეიმს ხსნის მეზღვაურთა კავშირის მდივანი ამხ. სპრინკველი, რომელიც ახასიათებს სახელოსნოს მნიშვნელობას და ამბობს, რომ ის აშენებულია კავშირის 6 ინიციატივით და ამხ. ელიავას დახმარებით, ამიტომ ის წინადადებას იძლევა დაერქვას სახელოსნოს „ფოთის გემთა სარემონტო სახელოსნო ამხ. ელიავას სახელობის“ ამ წინადადებას ყველანი ტაშის კვრით შეხვდენ. მის მიერ წაკითხულ იქნა ამხ. ელიავას დეპეშა, რომელიც ბოდიშს იხდიდა, რომ ვერ ჩამოდის. ის დეპეშაში აღნიშნავდა, რომ დღეს, 26 ამხანაგის დახოცვის ხუთი წლის თავზე, ჩვენ მედგრად ვასრულებთ მათ ანდერძს და ვაგებთ ახალ პროლეტარულ სახელმწიფოსო.

სახელოსნოს მნიშვნელობაზე, აგრეთვე შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე ილაპარაკა ამხ. ცაბაძემ (ცეკას წარმომადგენელმა), პარტკომის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს სახელოსნო ცოცხალი თვალსაჩინო აგიტაციაა იმ საზღვარგარეთელ მეზღვაურებისათვის, რომლებიც მოდიან ფოთის ნავთსადგურში და ხედავენ კომუნისტების საქმიანობასო.

ნავთსადგურის უფროსი ამხ. ქორქოლიანი აკეთებს მოხსენებას სახელოსნოს დანიშნულებაზე და ამბობს, რომ მუშაობა გაფართოვდეს, ერთი წუთითაც არ უნდა შეჩერდეს სახელოსნოს მუშაობა. მას თავისი სამუშევარი არ ეყოფა, ამიტომ საჭიროა, რომ ადგილობრივ დაწესებულებებს, გლეხებს და სხვებს ყოველივე სამუშევარი მოჰქონდეთ სახელოსნოში.

დასასრულ ამხანაგების წინადადებით ჩაწერილი იქნენ წითელ დაფაზე შემდეგი ამხანაგები ინტენსიური მუშაობისათვის: სახელოსნოს მუშა ამხ. ხაჭანავა, სახელოსნოს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ივანე ფირცხალავა და მუშაობის ხელმძღვანელი ინჟინერი რომანოვსკი.

ამ სახელოსნოს გახსნა მუშათა კლასის უდიდესი გამარჯვებაა სამეურნეო ფრონტზე.

პ. მეგრელიშვილი.

მეჯვრისხევის თემი (გორის მაზრა)

გორის სამაზრო პარტკომის გადაწყვეტილების თანახმად, გავემგზავრე მეჯვრისხევის თემის სოფლების მიწკომების მიერ აგრარულ რეფორმის ჩატარების შედეგების გადასათვალიერებლად, აღმოჩნდა შემდეგი: საერთოდ მიწის რეფორმა არის გატარებული დამაკმაყოფილებლად, მხოლოდ სოფ. ბერშუეთში სოფლის გლეხობას აურჩევია ნიკოლოზის და მენშევიკების დროს გამოჩენილი და გავლენიანი პირნი: 1) ყოფილი მოურავი-ვაჭარი ზაუტაშვილი სოლომონ ნიკოს ძე, 2) ყოფ. მოურავი, გვარდიის რაზმის უფროსი და აქამომდე არა მიწის მუშა ანიკიევი შაქრო ფოკას ძე და 3) გლეხი ქრისტესიაშვილი მიხეილ ანდრიას ძე, რომლებსაც თავი არ შეუწუხებიათ, სხვისთვის არაფერი მიუზომიათ. გასამრჯელოს აკრებას კი დაჩქარებიან და კიდეც გაულახავთ ერთი გლეხი, რატომ შენ მოცემულ პურს ჭერი ურევიაო; თვითონ სხვა მიწის მუშებზე მეტი ნორმა აუღიათ, თითოს დღენახევრისა, თითქოს ძალიან გულმოდგინე და ერთგული მიწის მუშები იყვნენ, ეს სჩანს სიიდან, და რაც ისე ექნებათ მოფარებული, ის კიდევ ზედმეტი იქნება.

საჭიროა ამნაირ პირების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება, გლეხობა უნდა დარწმუნდეს, რომ ბოროტ-მოქმედს არავიან აფარებს ხელს. უნდა გაიგოს გლეხობამ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ვაჭარს და ჩარჩ-მოურავებს არავითარ არჩევნებში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, არ აქვთ ადგილი.

აგრეთვე აღსანიშნავია სოფელ ზერტის (მეჯვრისხევის თემის) მცხოვრებლების მდგომარეობა, სადაც ოცოთხუთ საჟენზე ცხოვრობენ ოთხიხუთი მოსახლე, რაც ყოვლად დაუშვებელია. აქ არის მიწის სახლები (ერდოიანები), უსუფთაობაა საძაგელი. საჭიროა მეჯვრისხევის ექიმმა გამოიბერტყოს ყური და მოუღოს ბოლო უსუფთაობას, რის გამოც ხალხს ადამიანის ფერი არა სდევს (დაყვითლებულნი არიან).

ლ. გოგოლაძე.

ყაზბეგის რაიონი (დუშეთის მაზრა)

სოფელი ყაზბეგი მდებარეობს დუშეთიდან 105 ვერსის მანძილზე ყაზბეგი წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს. მცხოვრებლები რაიონში ორიათას კომლამდე იქნებიან. რაიონში ითვლება ექვსი ორ კლასიანი სასწავლებელი, სადაც სამი წელია მეცადინეობა არ ყოფილა. ხალხი შეუდგა ამ საქმის მოგვარებას; მაგრამ ძალიან ეშლება ხელი, რადგან დიდი თანხის გაღება დასჭირდა სოფ. გერგეტის სკოლის საქმე უკეთ არის მოწყობილი, ვინაიდან იქ მასწავლებელმა ამხ. მაკალათიამ დიდი ხელმძღვანელობა გაუწია ამ საქმეს და დააყენა თავის დონეზე. დაუფასებელია ამხანაგის შრომა სოფ. გერგეტის მცხოვრებლებისათვის. ყაზბეგის რაიონში ახალი პარტ-ინსტრუქტორის ამხ. გალაშვილის მოსვლამდე თითქმის არაფერი არ იყო გაკეთებული; მათი მოსვლის შემდეგ ლაეტყო გამოცოცხლება როგორც პარტიულ, ისე კულტურულ მუშაობას. მშვენივრად მოაწყვეს ყაზბეგის სოფლის კლუბი, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება. კლუბის მუშაობა დამთავრებულია, სამკითხველოები არსებობს შემდეგ სოფლებში: სიონში, სნოში და თვითონ ყაზბეგში. მხოლოდ ლიტერატურის უქონლობის გამო სამკითხველოების მდგომარეობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მოსავლის მხრივ ყაზბეგის რაიონი მუდამ უნუგეშო იყო. მოსავალი არასოდეს არ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. უმთავრეს წყაროს მცხოვრებლებისას წარმოადგენს საქონლის მოვლა-მოშენება წელს მოსავალი ზოგ სოფლებში ცუდი ამინდების გამო და უდროვოდ თოვლის მოსვლით მთლად დაზიანდა. საკმარისი იყო თოვლის მოსვლა, მაგრამ დაუნდობელმა ბუნებამ ესეც არ აკმარა ისედაც გაჭირვებაში მყოფ გლეხებს და 16 სექტემბრის დილის 12 საათზე მოვიდა საშინელი სეტყვა და მთლად გაანადგურა მთელი სოფლები, გამოკლებით სოფელ ყაზბეგისა. ამ უბედურებას არც კობის რაიონი გადაურჩა. გლეხობა დიდს საგონებელში ჩააგდო ამ გარემოებამ.

ი. ო—ლი.

პასუხი მოქ. მ. გოგიბერიძეს

(წერილი რედაქციის მიმართ)

მიუხედავათ იმისა, რომ მე არ ვეხები არსებითად მოქ. გოგიბერიძის მიერ ჩემდამი მიმართულ ღია წერილის შინაარსს, რომელიც აშენებულია სრულ სიცრუეზე და როგორც ასეთი სავსებით დამახასიათებელია მოქ. გოგიბერიძის სულისკვეთებისათვის, მე ზიზღით უკუვაგდებ მის მიერ შეთხზულ „მუშტი კრივობის“ შესახებ ჭორს.

რაც შეეხება „გრაბიტელობას“, ამას სავსებით ამართლებს მოქ. გოგიბერიძის სურვილი საზოგადო ორგანიზაციიდან—წითელი ჯვრიდან—უკანონოთ ურგებლად ზედმეტი „ვითომ და ხვედრი“ ფულის წაგლეჯისა, რის ნება მე, როგორც დაწესებულების უფროსმა, მას არ მივეცი და რის შესახებაც მე მზათ ვარ გავსცე პასუხი და დავუმტკიცო ჩემი მოქმედების კანონიერება მხოლოდ არა იმ მეჩხანურ წესის საშვალებით, როგორც დრო მოჭმულ სამედიატორო სასამართლოს ინსტიტუტი, ვინაიდან უპირველესათ მე, როგორც პარტიის წევრი, ასეთ შემთხვევაში მივმართავდი პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, მერმე, როგორც პროფკავშირის წევრი, პროფორგანიზაციის სათანადო ორგანოს და ბოლოს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, სახალხო სასამართლოს, რომელთა განაჩენი მოქ. გოგიბერიძესთვის თუ არა, საზოგადოებისათვის და ჩემთვის, უფრო ავტორიტეტიული და მნიშვნელოვანია.

ი. მამულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილება სამონადირეო მეურნეობის შესახებ № 10 დეკრეტის დამატებად.

რათა შენარჩუნებული იქნან იშვიათი გარეული ფრინველები, სახელდობრ, ხოხობი და თურაჯი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ დიდ ღირებულებათაგანს და რომლებსაც დაუზოგავი ნადირობის გამო მოელისთ სრული განადგურება, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1) აკრძალულ იქნას ნადირობა საქართველოს ფარგლებში ხოხობზე 1924 წ. 1 ოქტომბრამდე და თურაჯზე 1924 წ. 1-ელ ნოემბრამდე.

2) აკრძალულ იქნას აღნიშნულ ვადაში ზემოხსენებულ ნანადირევის გადატან-გადმოტანა და აგრეთვე ბაზარზე მისი გაყიდვა.

3) საქართველოს მონადირეთა კავშირის წევრები, რომლებიც მიდიან მეზობელ რესპუბლიკებში ზემოხსენებულ ფრინველებზე სანადიროთ, ვალდებულნი არიან იქონიონ თან განსაკუთრებით თვითეულ ნადირობაზე საქართველოს მონადირეთა კავშირისაგან მიცემული მოწმობები ნანადირევის დაუბრკოლებლივ გამოტანისათვის.

4) ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება სატყეო ადმინისტრაციას, რკინის გზათა, ქალაქებისა და მაზრების მილიციას, მაზრაღმასკომებს და საქართველოს მონადირეთა კავშირს.

5) ზემოხსენებული დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეთ ჩამოერთმევათ იარაღი, გამორიცხული იქნებიან კავშირიდან შემდეგში კავშირში შესვლის უფლების მოსპობით და მიეცემიან პასუხისგებაში საერთო წესით.

6) დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მაგიერ: ი. ქვანია.

საქმეთა მმართველი: ა. ჭილაშვილი.

19 ენკენისთვე, 1923 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ხუთშაბათს, 27 სექტემბერს დღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტ.—სპროპ. განყოფილებაში შესდგება გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების კამპანიის მომწყობი კომისიის თათბირი.

თათბირს უნდა დაესწრონ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტ-განყოფილების, პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების, განათლების სახ. კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის, ახალგაზრდათა კომკავშირისა, რაიკომების მდივნები და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

დასახელებულ წარმომადგენელთა დროზე დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. ტფ კ-ის საგიტ.—საპროპ. განყოფილება

— საქართველოს კ. პ. ტფ. ორ-ის მე 4 სარაიონო კომიტეტი იუწყება, რომ ა. წ. 26 სექტემბერს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასკომის ყოფილ სათათბირო დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება მე 4 რაიონის უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

ყველა დელეგატისა და მდივნის დასწრება სავალდებულოა. უჯრედების პასუხისმგებელი მდივნები პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ვალდებულნი არიან აცნობონ თავიანთ დელეგატებს მათი სავალდებულო დასწრების შესახებ.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე მოხდება გამოცდა **მუშათა ფაკულტეტზე** (რუსულ განყ.) დამატებითი სიით ჩარიცხულ ამხანაგებისა.

წინად მიღებულ ამხანაგებსაც ეძლევათ წინადადება გამოცხადდნენ, ვინც კი სექტემბრის 17-სათვის ვერ მოუვიდა გამოცდებზე.

სექტემბრის 26 უკანასკნელ დღედ ჩაითვლება გამოცდებისთვის.

გამოუცხადებელნი აღარ მიიღებიან.

სამანდატო კომისიის წევრი მ. ესსენი.

ამხანაგთა მობილიზაცია.

პარასკევს, სექტემბრის 28-ს დანიშნულია მეორე უბნის ორგანიზაციის წევრთა პოლიტ-ცოდნის შემოწმება. ამ მიზნით მობილიზაციის წესით გაწვეული შემდეგი ამხანაგები: ადამსკაია, ავენირი, ალაგარდიან, ალაჯანოვა, ბალტინი, ვარძიელი, ვაშაძე, ვართაპეტიანი, გინდინი. გრიცენკო, გენკინი, გომინერი, გალკინი, გოლუბევა, დიმანტი, დანდუროვი, დივნოგორცევი, დუმენსკი, დუდუჩავა, ერქომაიშვილი, ელისაბედაშვილი. ჟუქიკაშვილი, ივანოვ-კავკასკი, იგნატოვი, ივანიანი, კახიანი, კურულოვი, კოსტანიანი მ., ჯოგანი, კიკნაძე (რედ.), კარტოზია, კორძახია, ქართველიშვილი, კიკალეიშვილი, კასატკინი, კრუგლიკოვი, ლომინაძე, ლიადოვსკაია, ლიბაუ, მედვედევი, მამულაშვილი, მარქარიანი (როსტა), მოგილევსკი, ნოვიკოვი, ნაზაროვი, ნემჩინოვი, ნადირაძე, ორახელაშვილი მარ. ოკუჯავა კ. ოკუჯავა მ. პოლისი, პადერინი, პათერინა, პენიაკოვა, პენიაკოვი ს. რახმანი, რუხაძე გენ. სუტირინი, სოკოლოვსკი, საყვარელიძე („მუშა“), საკიანი, სტელმანი, თალაკვაძე ს. თალაკვაძე ი. ტაკოევი, ფროლოვი, ფრანგულიანი, ხაჭაპურიძე, ხანოიანი, ჩხეიძე (რედ.) შავერდოვა, ესსენი მ. ესსენი ა. ერისთავი, ცინცაძე ივანე.

ყველა ზემოხსენებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ნაშუადღევის 5 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე (კიროჩნისა და მიხეილის ქ. კუთხე).

ტფილ. კომიტეტის მდივნის მაგიერი გოლდბაუმი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კ. პ. ტფ. კ-ის მე-3 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს შემოვიდენ სარაიონო კომიტეტში 25 ან 27 სექტემბერს დღის 4 საათზე სრულიად საქართველოს აღწერის ბლანკების შესავსებათ.

მოსვლა სავალდებულოა.

1. ავაქიანი ავაკ, 2. ალაგაჯიანი მუშეგ, 3. ამირაგოვი ნიკოლოზ, 4. ალაჯალოვი ნინო, 5. არუტიუნოვი სტეფანე, 6. ავაქიან არშავირ, 7. ბადეევი იაკობ, 8. ბეჟანოვა ტატევოს, 9. ვართაპეტოვისა აშხენ, 10. ჯაბაშვილი სერგო, 11. ლომიძე ტერაპონის, 12 ლირაგინი ილია, 13. მკრტიჩევი მკრტიჩ, 14. მისკინი ანუშევან, 15. ნაჯაფოვი რიზაკული 16. ოგანესოვი გევორკ, 17, ფიფია პარასკევა, 18. სტარჩუკოვისა სოფიო, 19. სააქიან აშოტ, 20. სკანდაროვი მკრტიჩ, 21. სულხატიანი არუთიუნ, 22. სერიოჟკინი გიორგი, 23. სურახანოვა არმენაკ, 24. საპლოვი ივანე, 25. თუმანოვისა ტატიანა, 26. ტოპჩიბაშევი ასკერ, 27. ხაჭაპურიძე გიორგი, 28. ხაჩატუროვი ნერსეს, 29. ხურშუდოვი არშაკ, 30. შახტახტინსკი ბებუთ 31. იაკუბოვ სეით, 32. ჩერნიშოვისა ალექსანდრა, 33. შმულევიჩ ნადეჟდა.

მდივანი ვართაპეტიანი.

საზოგადო სამუშაოთა ორგანიზაცია.

ს. პ. კ. ს. სამდივნომ გამოყო კომისია საზოგადო სამუშევართა მოსაწყობათ. კომისიას წინადადება მიეცა პირველ რიგში მოაწყოს საზოგადო სამუშევარი საბურთალოში, სადაც გაგზავნილ უნდა იქნეს მხოლოდ უმუშევარნი.

მუშათა კლუბი ფოთში.

ფოთის საქალაქო პროფბიურომ დაიწყო კამპანია ყველა კავშირებში მუშათა კლუბის ასაშენებელი თანხების შესაგროვებლად.

ურთიერთ დახმარების სალაროების მუშაობა.

ქიმიკოსთა კავშირში.

1 ივლისისათვის სალაროში დარჩა 210,052,757 შემოვიდა სხვა და სხვა დროს სალაროში საწევრო გადასახადებით, სესხის და კურსის განსხვავების დაფარვით სულ 180,929,602 მ. ივლისის განმავლობაში სხვა და სხვა დროს მიეცათ წევრებს 124,126,000 მან., ამ თანხიდან 21,422,000 მან. დაუბრუნებლად. 1 აგვისტოსათვის დარჩა კასაში 266,856,352. მ. ერთს თვეში შემოვიდა 195,024,746 მან. კასის წევრებს მიეცათ 105,385,950 მან.

განათლების მუშაკთა კავშირში.

განათლების მუშაკთა კავშირის უკანასკნელ პლენუმზე წაკითხულ იქნა მოხსენება ურთიერთ დამხმარე სალაროს ივლის-აგვისტოში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

სხვა და სხვა დროს ამ ორ თვეში კასაში შემოსავალი იყო 3,600,000,000 მანეთი, მიეცა დახმარება 108 გაჭირვებულ წევრს და 224-ს სესხი. გაცემული თანხა უდრის დაახლოვებით ერთს მილიარდს.

დახმარების მთხოვნელია რაოდენობა სამოსწავლო წლის დასრულების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

ქრონიკა

— **ნათესავთა ერთად სამსახურის შესახებ.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა დადგენილების პროექტი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ნათესავთა ერთად სამსახურის აკრძალვის შესახებ.

— **მტკიცე შტატები.** შრ. სახ. კომისარიატმა საქ. ცენტრ აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინა დასამტკიცებლათ დადგენილება მტკიცე შტატების დაწესების შესახებ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

— **სპეციალური და პერსონალური განაკვეთები.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა დადგენილება სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაზე და სამეურნეო ანგარიშზე აყვანილ უწყებებში სპეციალურ და პერსონალურ განაკვეთების შესახებ.

— **პროვინციის დამზღვევ ორგანოთა დათვალიერება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა მოახდინოს პროვინციის დამზღვევ ორგანოთა დათვალიერება და ამ მიზნით გაგზავნოს ინსტრუქტორები საჭირო ინსტრუქციებით.

— **პროფმოძრაობის შესასწავლი კურსები.** ქუთაისის პროფკავშირმა დაადგინა ქუთაისში გახსნას პროფმოძრაობის შესასწავლი მოკლე ვადიანი კურსები.

— **დაღუპულ მფრინავთა ქვრივების უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაავალა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს, რათა დაღუპულ მფრინავების, თაბაკაშვილის და კუირუგიანცის ქვრივებს დაენიშნოთ მუდმივი დახმარება.

— **გადასახადის აკრეფა—სიღნაღის მაზრაში.** 16 და 20 სექტემბრის მიღებულ ცნობებით, სიღნაღის მაზრაში მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ჯერ-ჯერობით შემოსულია 239 ფ. ხორბალი და 1027 ფ. ქერი.

— **ამინდი დასავლეთ საქართველოში.** დასავლეთ საქართველოში ამჟამად კარგი ამინდებია. საგადასახადო კომისიამ გასცა განკარგულება—გამოარკვიონ მოსავლიანობის რაოდენობა.

— **უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა ქუთაისში.** ქუთაისის პროფბიურომ მოაწყო უმუშევართა შრომის არტელი საზოგადო სამუშაოებზე სამუშაოთ.

— **შრომის ბირჟა.** 24 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—674, ახლად ჩაეწერა—134. სამუშაოზე გაიგზავნა—52.

— **სპეციალურ ტექნიკუმებში.** განათლების კომისარიატის დადგენილებით სპეციალური ტექნიკუმები, რომლებშიაც მიიღებიან შრომის სკოლებში კურს დამთავრებულნი, თავის სტრუქტურით და სამოსწავლო პროგრამის სირთულით მოითხოვენ დიდ მომზადებას განსაკუთრებით მათემატიკურ საგნებში. ამიტომ აღნიშნულ ტექნიკუმებში შემოღებული იქნა მოსამზადებელი საფეხური.

— **გაკვეთილების ცხრილი.** მთავარ პროფესიონალურ განათლების მმართველობამ დაამუშავა კვირეული გაკვეთილების ცხრილი და დაუგზავნა განათლების განყოფილებებს, რომლის მიხედვით მეცადინეობა უნდა ჩატარდეს პირველ ნახევარ სამოსწავლო წლის განმავლობაში.

— **სამხედრო ტრიბუნალში.** 24 სექტემბერს სამხედრო რევტრიბუნალმა გაარჩია საქმე მესანგრე არტელში სადარაჯო ჯგუფის უფროსის გიორგი ცხადაძის და იმავე ჯგუფის წითელ არმიელის ვლადიმერ ჯავახიშვილის, რომელთაც ბრალათ ედებოდათ წითელ არმიელთა ქონების მითვისება.

ტრიბუნალმა მათ მიუსაჯა გამასწორებელ სახლში მოთავსება შვიდ-შვიდი წლით.

შემთხვევები.

— **უბედური შემთხვევა.** მალაკნის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის შეახტა რკინისგზის მუშა ტარიელ აბრამოვი, რომელიც მოჰყვა ვაგონს ქვეშ. დაშავებული მთვრალი აღმოჩნდა.

— **ყაჩაღების შეპყრობა.** კოჯორის მილიციამ შეიპყრო ყაჩაღების ჯგუფი: ვასო შეტიშვილი, სპირიდონ ხმალაძე, სონა სეტიშვილისა და მინა ნაზრიშვილი.

— **ტექნიკუმის გაქურდვა.** 23 სექტ. ღამით გაქურდეს მე-8-ე ტექნიკუმი, საიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიარდის ნივთები.

ხელოვნება

— **დრამის სეზონი.** ქართულ აკადემიურ დრამის სეზონი გაიხსნება 18 ოქტომბერს გ. ერისთავის „გაყრით“, რომელსაც სდგამს კ. მარჯანიშვილი.

— **ქართული დრამის აბონიმენტები.** მომავალ სეზონში შემოღებულია აბონიმენტები. სააბონიმენტო წარმოდგენა შესდგება 20 წარმოდგენით სუყველა პრემიერებზე. აბონიმენტის მყიდველს თითო ბილეთზე ეძლევა 10 პროც. შეღავათი.

— **მუშათა კლუბი ფოთში.** ახლო ხანში ფოთში გაიხსნება მუშათა კლუბი.

— **ქართულ პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** 24 ენკენისთვეს ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული ორშაბათი. მოხსენებით პროლეტარულ პოეზიის შესახებ გამოვიდა ამხ. კალანდარიშვილი. მიუხედავად მოხსენების სისუსტისა, საკითხის დაყენებამ შეხლა-შემოხლა და საინტერესო კამათი გამოიწვია. თავი იჩინა სამმა მიმართულებამ: პასიური დანებლებლობის მომხრეებმა ახალ ფორმის გამონახვის და სიმბოლიზმის გზით სიარულით. მეორე გზის აუცილებლობაზე ილაპარაკა ამხ. ვაქელმა, ხოლო უკანასკნელის მიდებაზე ამხ. დუდუჩავამ, მეგრელიძემ და დუმბაძემ. კამათმა ცოცხალი ხასიათი მიიღო. ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ვასაძემ, ქიქოძემ და სამსონიძემ.

მომავალ ორშაბათს წაკითხულ იქნება მორიგი მოხსენება.

— **სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასის შემადგენლობა**—ქალები: ს. ანკარა ბ. ასათიანი, ე. ავალიშვილი, ე. ბარათაშვილი, ა. გამზარდია, ე. იან ქოშვილი, მარგველაშვილი ნ. მინდელი, მ. ქართველიშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძე, ა. ჩარკვიანი, ნ. ჩიხლაძე, ს. ყორაშვილი. ვაჟები: ვ. ადამიძე, გ. ანაშვილი, ი. ბუთლიაშვილი, გიორგაძე, ბ. გამრეკელი, ა. ევგრელი, გ. თაზიშვილი, ა. თავდგირიძე, ვ. კობელი, ა. კუპრაძე, ნ. კანდელაკი, კალანდარიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ა. ლორთქიფანიძე. მაისურაძე, ა. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი, მგალობლიშვილი, გ. მენთეშაშვილი, მეხელი, ვ. ნინიძე, ი. ელიაშვილი, კრავეიშვილი, ა. ლითანიშვილი, ს ზიომანიშვილი, რ. სალაყაია, კ. ხახანაშვილი, ცაბაძე, ი. ჭანაშვილი, რეჟისორები: ი ზარველი, მ. ლევამიჩავა, რეჟისორის თანაშემწე: გ გარსიაშვილი, ს. ხოფერია, მოკარნახეები: მ. თუშმალიშვილი, ჯ. გელეიშვილი, დასი სეზონის განმავლობაში იმუშავებს კოლექტივის სახით.

რეპეტიციები უკვე დაიწყო, სეზონი გაიხსნება 7 ოქტომბერს პიესა „გუშინდელნი“-თ, ი. ზარველის რეჟისორობით.

მზადდება ახალი პიესები.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
სექტემბრის 26-ს
მედუქნე ქალი
4 მოქმედებად. უმთავრეს როლს შეასრულებს
632 1—1 ზ. ზ. ალექსეევ-მესხიშვილისა

ს. ს. საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი ნიშნავს
სიტყვიერ საჯარო ვაჭრობას
პარასკევს, სექტემბრის 28-ს, დილის 10 საათზე ცენტროსაწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 133) და სატრანსპორტო ეზოში (ელისაბედის ქ. № 172)
ცხენებისა და სხვადასხვა საქონლის გასასყიდად:
ეტლის რკალების, ფასნების, ცულის ტარების, ხის ნიჩბების, ძველი ფეხსაცმელების, ტომრების, ბოჭკების, ბიდონების, ეტლის თვლების, თუჯის ქვაბების, საცხებელი ზეთის, კარტოფილის ფქვილის, სიმინდისა, ფეტვისა დ სხ.
შაბათს, სექტემბრის 29-ს, დილის 10 საათზე სარემონტო სახელოსნოთა ეზოში (ელისაბედის ქ. № 179) სხვადასხვა ჯარისა და უვარგის სატრანსპორტო და სხვა ნივთების, გაიყიდება: რკინის ნატეხების, თუჯი, საქვაბე პლიტები, ძველი თვლები და სხვ.
კვირას, სექტემბრის 30-ს დილის 10 საათზე სასურსათო საწყობის შენობაში № 1 (ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქ. № 18) გაიყიდება სხვადასხვა გვარი კრუპა და ხორბლეულობა, სახელდობრ: მუხუდო, ფეტვი, ნაქმაზი და სხ.
საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნულ საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ საქმის დღეს, სამეცადინო საათების განმავლობაში ზემოხსენებულ მისამართებით.
ს. ს. საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი.
1238 3—1.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული საბუღალტრო პრაქტიკული კურსი
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—42

ელექტრონის სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის [illegible]
[illegible] ტფილისი, გოლოვინის ქ. № 20. (501—26—23)

დაიკარგა ქაუხჩიშვილის სახელობის ქუთაისის გიმნაზიის მე-6 კლასის მოწმობა ნადეჟდა დარისპანის ასულ აბაიშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1237 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, [illegible] ქ. № 4.